საქართველოს სოციალდემოკრატიული მუშათა პარტია. ოთხშაბათი 5 მარტი 1919 წ. პროლეტარიელნო ყველა ქვეყანისა, შეერთდით!

ერთობა

ფასი 75 კაპ.

ფასი: 1 თვით 18 მანეთი ოთხგვ ნომერი 75 კაპ. განცხადებების ფასი: როგორც ჩვეულებრივ, ისე მეოთხეგვ. პეტიტის სტრიქონი—1 მან. სამგლოვიარო განცხადება 20 მან. საჩქარო განცხადება უნდა მოტანილ იქნას. არა უგვიანეს დილის 12 ს. ხელმოუწერელი წერილები არ იბეჭდება. დაუბეჭდავ საგაზეთო მასალას რედაქცია არ ინახავს, ავტორებს ეკან გვერ დაუბრუნებს და ამის შესახებ არავ პიწერა-მოწერას კისრულობს.

ხელის მოწერილებმა ფული შემდეგი მისამართით გამოგზავნონ: თბილისი, ფოსტის ყუთი № 199 გან. „ერთობის“ რედაქცია სხვა მისამართი გამოგზავნილ ფულს რედაქცია ვერ მიიღებს. რედაქციაში პირადათ ოთხ-ალ-ბარ-აკვა შეიძლება 10—12 საათამდე. რედაქციისა და კანტორის მისამართი: თბილისი, გოლოვინის პროსპექტი № 54

ტელეფონი 16—62.

№ 51 ორგანო საქართველოს სოციალდემოკრატიული მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტისა. № 51

ღრმად დამწუხრებული შეუდლე ანეტა ლუარსაბის ასული, შვილები: აკაკი თამარი, ამბროსი, ლუბა, ლიდა და შვილი; ძმა გიორგი ივანეს ძე მაჭარაძეები. დედა ანეთი მაჭარაძისა და დაი სოფიო ფანცხავასი, ძმაკაცი მაჭარაძისა, სიდედრი ელენე რუხაძისა, ცოლის ძმები: ვალიკო პოლიკარპე, გიორგი და თედორე რუხაძეები, ცოლის დები: ლიზა ბახტაძისა, თეოფილი თეოლიანი, მართა შენგელიასა და მატრონე რუხაძე, ცოლის ძმების ცოლები მარო და ბაბილინე რუხაძეები, ქვისლები: ლადო თეოლია და სერგო შენგელია, ამით აუწყებენ ნათესავთ, ნაცნობთ და მეგობრებს, რომ ხანმოკლე ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა მათი ძვირფასი და მუდამ დაუვიწყარი საყვარელი

ალექსანდრე ივანეს ძე მაჭარაძე

რომლის უკანასკნელი გამოთხოვების დღეთ დანიშნულია 6 მარტი, ხუთშაბათი, ნაშუადღევის 4 საათზე. დაკრძალვა მოხდება ქ. ფოთში ალგილობრივ სასაფლაოზე. (2—1)

ღრმად დამწუხრებული შვილები: მარიამი, იოსები, ძმა პეტრე მეუდლეთურთ, ძმისწულნი: იაკიმე, არჩილი, კოლია, ცოლის ძმა მისი ხარლამი ქაცარეაძე, სიძე ვანო მეტრეველი, მწუხარებით აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ, რომ ხანმოკლე ავადმყოფობით არამიანცის საავადმყოფოში გარდაიცვალა მათთვის ძვირფასი

ერასტი პეტრიაშვილი

გამოსვენება მოხდება ხუთშაბათს, 6 მარტს, დილის 10 საათზე არამიანცის საავადმყოფოდან, დაკრძალვა პეტრე პავლეს სასაფლაოზე. (2—1)

ღრმად დამწუხრებულ შვილები: მეუდლე ალექსანდრა, შვილი ნინა და სიძე შალვა ნაკაშიძენი, ძმა ალექსი მეუდლით და დაი მართა ჯაყელისა მეუდლით, რძალი ხაფათო, ძმის წულები: პორფირე და სამსონ მეხუზლები, ვასასი და დიმიტე სურგულაძენი, ცოლის და კატო მეუდლით კოტიანი და შვილთა კარნილია თავგარეულაძეები ვაცნობებთ ნათესავთ, მეგობრებსა და ამხანაგებს, რომ ხანმოკლე ავადმყოფობის შემდეგ დაბა ლაგოდეხში გარდაიცვალა ჩვენთვის უძვირფასესი და დაუვიწყარი

იასე რაჭველი—მეხუზლა

რომლის დასაფლავების დღე ცალკე იქნება გამოცხადებული. (2—1)

ღრმად დამწუხრებული ნინა გიორგის ასული გოგოლაშვილისა, ულრმეს მადლობას ვუხდიან ყველა მათ, ვინც წერილობით, დეპეშებით ან პირადათ დასწრებით პატივი სცეს საყვარელი და დაუვიწყარი მეუღლის

პავლე დავითის ძე გოგოლაშვილის

გარდაცვალების გამო.

ღრმათ დამწუხრებული შვილები პეტრე, კირილე, ზინაიდა, ძმაკაცები: კპრაქსია და მარიამი დგებუაძეები; სიძე დათიკო ფაქიძე აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ, რომ ხანმოკლე ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა სოფელ ლესიჭინეში

მართა ტოტის ასული დგებუაძისა

დასაფლავების დღე დანიშნული არის 6 მარტს, (ძველ სტ. 21 თებერვალს) დღითი ხუთშაბათს სოფ. ლესიჭინეში. (1—1)

ქალაქ სოფლის თვითმართველობის გარეშემო

ქალაქში თვითმართველობა ერთიანათ დემოკრატიულ ჩაუყენდა ხელში. ეს ნიშნავს, რომ მას ამიერიდან თავისად თვლის ხალხი, და არა თვისად ის წრეები, რომელნიც საზოგადოების ბედი სარბულში წამოიყენეს და ხალხს მაღლიდან დაჰყურებენ.

ამ ორ წრეს შორის ყოველთვის იყო ყრუ თუ აშკარა უკმაყოფილება, დავა, ბრძოლა, სხვადასხვა სახით და ფორმით.

წინანდელ თვითმართველობას, სადაც სოლოლაკი მბრძანებლობდა, ქალაქის დემოკრატია, მაშინ უფლება აყრილი, უნდობლობის თვალით უცქეროდა

დღეს ეს „ძველი ბატონები“, რომელთაც საყოველთაო უფლებამ ხელიდან ბატონობა გამოაცალა, ასევე უნდოდათ უცქერიან დემოკრატიის ნდობით აღჭურვილ საბჭოს და მის აღმასრულებელ ორგანოს. ამ მოვლენას არ შეეძლება ახლაც აყრადღება არ მიექცეს და ანგარიში არ გაიწიოს.

ჩვენ ვხედავთ ამ მხრივ დღეს მეტათ საყურადღებო მოვლენას. არ შოუსწრია ახლად შეკრებილ საბჭოს შეკრება, რომ მას ყოველ მხრიდან მოსდის მოთხოვნები და უკმაყოფილების ხმები. მაგრამ, რაც ყველაზე საკვირველია, ეს ხმები ისმის არა იმდენათ მუშებისაგან, რომელნიც ეკონომიურათ ნაკლებ უზრუნველყოფილი არიან ქალაქის ცხოვრების ამ, არამედ იმ წრეებისაგან, რომელნიც წინეთ ქვევიდან ზევეთ შეჰყურებდნენ თვალებში ქალაქის პატრონთ და მათგან ცის მანანასავით მოწყალებას ელოდნენ.

დღეს იერიშები მიქვეთ საბჭოებზე ერთი მხრით მოსამსახურეებს, რომელთა მრავალრიცხოვანობა და შეღარებით უსაქმობ ს გამო აიძულებს საბჭოს მათ შემცირებაზე იფიქროს, და მეორე მხრით... იმ ინტელიგენტურ წრეებს, რომელნიც თავის მოვალეობის ჯამო უფრო სერიოზულათ უნდა ეპყრობოდნენ საქმეს.

განსაკუთრებით დამახასიათებელია ამ მხრივ საექიმო პერსონალის განცხადება, რომელიც გასულ სხდომაზე გამოქვეყნდა თავმჯდომარის მიერ. ექიმები და საერთოთ საექიმო პერსონალი აპირებს გაფიცვას, უკეთუ არ იქნა დაკმაყოფილებული მოთხოვნილება სახადიან ბარაკის მოსამსახურეთა.

სახადიან ბარაკის მოსამსახურეთა მოთხოვნილება ქალაქმა განიხილა და მათ 60—80 პროცენტით ჯამაგირები გაუდიდა, პენსია კი მათ მოთხოვნაზე მეტათაც. მაშასადამე საბჭომ მოიმოქმედა ის, რის საშუალებასაც აძლევდა ქალაქის კასის მდგომარეობა და მოსამსახურეთა აუცილებელ საპროტესტოთა აწონდაწონვა.

მაგრამ მოსამსახურენი გაჯიუტდნენ და ეს არ იკმარეს. ერთ დღეს ხალ ავადმყოფობის მიღებაზე ბარაკში უარი გაცხადეს, ესე იგი სენი ქალაქიდან გასაბიდი, ქალაქსვე დაუბრუნეს. და ამ მოროტებას, ამ საშინელ დანაშაულს საზოგადოების წინაშე ცდილობენ საბჭოსთვის თავზე მოაბეჭვა.

ბურჟუაზულ გაზეთებში ერთხმათ გამოქვეყნდა მათი აღწერილობა საავადმყოფოების ყოველი ნაკლის, რომელსაც ამ ორი წლის უსახსრობის და უწეობის მდგომარეობაში ჰქონია ადგილი და თითქო ავადმყოფების ინტერესებისთვის ბარაკების შენახვა თითქმის შეუძლებელათ უნდა ჩაითვალოს.

ჩვენ დიდს ყურადღებით ვეპყრობით მშრომელთა ეკონომიურ მოთხოვნილების დაკმაყოფილებას. ეს დავაც წესი-სამებრ სპარბიტრაჟო კომისიას გადავეცა.

ცხადია აქედან მოსამსახურეთა ჯიუტობას და „ზაბასტოვკებს“ არ ჰქონია მიზნათ „გავლენის“ მოხდენა, ეს საჭიროც არ იყო. იგი სხვა მიზანს ემახურებოდა. და აი ეს მიზანი არის დასაგმობი. მოსამსახურეებს და ექიმებს, რომელნიც პროტესტს აცხადებენ და „გაფიცვას“ აწყობენ, ალბათ არ ესმით სულ უბრალო, მარტივი, უდავო საზოგადოებრივი დებულება: რომ სენთან ბრძოლა, განსაკუთრებით ისეთ საშინელ გადამდებ სენთან, როგორიცაა ტიფი, ხოლერა და სხვები, ეს იგივე ომია საზოგადოებისა თავის გამანადგურებელ მტრებთან. ეს აუცილებელი და სავალდებულო სამსახურია და ამ სფეროში არავითარ გაფიცვაზე და სხვა ასეთ ზომებზე ლაპარაკი არ შეიძლება.

ეს გაფიცვა საზოგადოების გაუბედურებაა და არა თავის საქმის გაკეთება.

და ვისაც არ ესმის ეს სადა აზრი, რომელიც ადვილ გასაგებ მოვალეობას ადებს მათ, ის ცხადია მუშების ნაცვალ ია ლ ილებს იქ, სადაც მუშების იძულებისთვის მიმართვა დანაშაულია.

მუშებს ეს შეგნებული აქვთ. ისინი, მაგ. რკინის გზას არ აჩერებდენ თფილისში, თუმცა ეკონომიურად დიდ გაჭირვებას ითმენდენ, იმიტომ, რომ ანგარიშს უწევდენ დემოკრატიულ მთავრობას და დღევანდელ მომენტს. ზოგიერთი ექიმებიც, ცხადია, ანგარიშს უწევენ დღევანდელ მომენტს და დემოკრატიის ბატონობას, მაგრამ აქედან წინაღმდეგ დასკვნებს აკეთებენ.

და ჩვენ უნდა გულანდილათ მოვახსენოთ ბ-ნ ექიმებს და სხვა „გაფიცვის“ მოტრფიალეთ. დემოკრატიულ თვითმართველობის წინააღმდეგ ასეთ ზომებს მიღება, რაც სხვა ყოველგვარი საშუალება მათ ხელთაა თავის ნამდვილ მოთხოვნილებებს დასაკმაყოფილებლათ, ეს არის გაძლაშქრება ხალხის დემოკრატიის და მისი ნება სურვილის წინააღმდეგ.

და ჩვენც სხვაგვარათ არ შეგვიძლია გავიგოთ დღეს მოწყობილი გამოსვლები, რომელსაც „ექიმები“ ხელმძღვანელობენ.

ქართველ-სომეხთა კონფერენცია

ომის შემდეგ ისევ შეიკრიბენ და მოლაპარაკება სწარმოებს სადაო საკითხებზე.

ის, რაც უნდა ომის წინ მომხდარიყო, ხდება სისხლის დაღვრის შემდეგ. რაც ადრე უნდა გაკეთებულიყო, რომ უმანკო სისხლი შეგვენახა, ის ახლა იწყება.

არ გვინდა ამ ჟამათ ამ უგანურების მიზეზებს მივუთითოთ. ომის შემდეგ მაინც თუ მოხდა შეთანხმება, თუ სისხლი, დადვრილი ბორჩალოს მაზრაში, არ დაიკარგება უქმათ და დაჯდება საფუძველათ ძმობის განმტკიცებას, მომავალში ხელახალი ომების გამოწვევის ნაცვლათ, ესეც დიდი სასარგებლო საქმე იქნება.

და ამ მიზნით ჩვენ საიმედო ნიშნებს ვხედავთ კონფერენციის პირველი დღეების მუშაობაში.

აქ თითქოს ჩნდება საერთო ენა ამ ორ რესპუბლიკებს შორის. ჩვენ არ გვინდა ამ ჟამათ შეეჩერდეთ კონფერენციის საკითხებზე, ადვნიშნავთ მხოლოდ, რომ მთავარი საქმეა—საზღვრებზე შეთანხმება. დანარჩენი კითხვები უმნიშვნელოა. მაგრამ სწორედ ამ მთავარ საკითხში იჩენს თავს მთავარი მიმართულება ორივე რესპუბლიკის: ურთიერთის დახმარება და საერთო გზით სიარული, თუ ურთიერთთან ქიშპობა და ერთმანეთის დაღუპვა. აი ეს საკითხი წყდება საზღვრების საკითხთან ერთათ.

მაგრამ არ შეგვიძლია არ ადვნიშნოთ აქვე ერთი გარემოება: დღემდე ამიერკავკასიის რესპუბლიკებს საქმეს წყვეტდა არა შინაური ურთიერთობა, არამედ გარეშე ძალებზე დაყრდნობა. ეს დაყრდნობა ხდებოდა მიზეზათ რესპუბლიკების არსებობის წინააღმდეგ ბრძოლისა. ორიენტაცია რუსული, ოსმალური და სხვა ედებოდა საფუძვლად რესპუბლიკების გაქრობას და მათ ადგილას ამ გარეშე ძალის გაბატონებას.

ჩვენ გვახსოვს ზოგიერთ ხელმძღვანელ წრეების საპასუხისმგებლო განცხადებები: ან ჩვენ, ან არავინო; ეს ნიშნავდა მუდმივ ომიანობას და სხვის ლუკმათ ყაბდომას. და ამ განცხადებას ემატებოდა მეორე ფორმულაც. დაე სხვამ წაგვიღოს, ოღონდ მეზობლებიც მან გადაყლაპოსო. ერთი სიტყვით: მეც წავიდე, შენც წაგასდინეო, მღეროდნენ ჩვენი ზოგიერთი რესპუბლიკის მეთაურები.

და აი ამ პოლიტიკას უნდა მოულოს ბოლო კონფერენციამ. ეს პოლიტიკა უნდა შესცვალოს ძირიანათ და რესპუბლიკათა ურთიერთი დახმარება გახდეს ჩვენი ძალიერების და თავისუფლების მთავარ ბურჯათ.

უნდა ადვნიშნოთ: არც ევროპა საერთოდ, არც თვითეული საჭელმწიფო ცალცალკე არ გადაჭრის ჩვენ შინაური ურთიერთობის საკითხს ისე, რომ უკმაყოფილების საბაბი მოისპოს. პირიქით, ეს შეუძლია მხოლოდ თვით რესპუბლიკების კეთილგანწყობილებას და მოლაპარაკებას. ევროპა მხოლოდ დაადასტურებს იმას, რასაც აქ ფაქტიურად და იურიდიულათ ჩამოყალიბებულს დაინახავს. წინაღმდეგ შემთხვევაში გადამჭრელი როლი სავსებით გადავა ევროპის საბელმწიფოთა ინტერესების სფეროში და ჩვენი ხალხის ინტერესები განზე დარჩებიან.

აი ამას უნდა მიაქციოს ყურადღება პასუხისმგებელმა წრეებმა ამიერ-კავკასიის რესპუბლიკებისა.

ან თვით მოვუართ ჩვენ თავს, ურთიერთ შორის მორიგებულნი, ან სხვისი ლუკმა გავხდებით. ასეთია დილემა და ნუ თუ აქ ორეფიფრა და ორაზროვნება შესაძლებელია?

პრესა

„ჰარაჩი“ (№ 40) სწერს:

„სომხეთის და საქართველოს მთავრობების შორის მომხდარ მოლაპარაკების წყალობით უგანური ომის შემდეგ ახლათ აღსდგებიან დიპლომატიური დამოკიდებულებანი და ახლად დაიწყება ფოსტა-ტელეგრაფის და რკინის გზაზე მიმოსვლა ამ ორ ქვეყნის შორის. ძლივს თუ მოიპოვება იმისთანა, რომ მადლობით არ წაიკითხოს ეს ცნობა.

„ახლანდელ ცუდ პოლიტიკურ და ეკონომიურ პირობებში, როცა ორი ქვეყნის დემოკრატიები იძულებულნი არიან მოიკრიფონ თავიანთი ყველა ძალები, ერთი—თავისი ფიზიკური არსების, მეორე—თავისი თავისუფალი და დამოუკიდებელი არსებობის დასაცველათ, ეს—ნორმალურ პირობებში შეიძლება არა იმდენათ პირველ ხარისხის საკითხების დადებითი გადაჭრა იღებს ეხლა დიდ მნიშვნელობას.

თავისუფლათ მიმოსვლის უფლება, ტრანზიტი იმისთანა საჭირო და რეალური ღირსების საკითხები არიან ორი ქვეყნისთვის, რომ არ შეიძლებოდა არ აეძულათ ორივე მხარე შეთანხმებამდე მოსულიყვნენ. გარდა ამისა ამ საკითხების სრულიდარული, ხელსაყრელი გადაჭრა საუკეთესო დამტკიცებაა ინტერესების იმ ერთნაირობისა, რომელსაც უარყოფენ ასე დაჟინებით „გრუზიას“ მოსაყდელი მწერლები. ეს საუკეთესო დამტკიცებაა და თავდებია იმისა, რომ მთელ რიგ საუკუნოებში ერთმანეთზე დაყრდნობილი მზრომელი ხალხნი ხვალაც ზოგი პირების სამწუხაროთ განაგრძობენ თავიანთ მუშაობას და თავისუფალ დამოუკიდებელ ცხოვრების რეალური პირობების შესაქმნელათ. გაბატონებულ კლასების და მათი ლაქიების ცდა სიძულვილი დასთესონ ორი დემოკრატიის შორის და მათ ანტაგონიზმზე დაამყარონ თავიანთი ძალა უფლება, თავის მიზანს ვერ მიაღწევს. ძმობისა და სოლიდარობის პრინციპები ხვალ კიდევ გაიმარჯვებენ და ახლათ კიდევ ორი დემოკრატია ხელიხელს ჩაკიდებული განაგრძობს თავის ბრძოლას საერთო მტრის წინააღმდეგ. სომეხ ქართველთა კონფერენციის მუშაობა ამ გამარჯვების ერთი დიდი თავმდებია“.

„ჰარაჩი“ ამ ჟამად სწორ გზას დასდგომია, მაგრამ ერთმა სოლიდარობა გამოიხატება არა მარტო ტრანზიტის და ფოსტის მოწესრიგებაში, არამედ—უფრო არსებითი საკითხების შესახებ შეთანხმებაში. და ჩვენ გვინდა ვიფიქროთ, რომ „ჰარაჩი“ ამ საგანშიაც აიცდენს თავიდან მისი ზოგიერთი წინაპარი გაზეთების შეუსაბამო კილოს და მეზობლობაში მტრობის ნაცვლათ მეგობრობის დამყარებას შეუწყობს ხელს.

დღეს „ჰარაჩის“ მიმართულება ბატონობს სომეხეთის რესპუბლიკაში და ამიტომ ჩვენ რამდენათ სასტიკათ ვებრძოლით ამ მიმართულების ყალბ ნაბიჯებს, რომელნიც ორივე ერს დაღუპვას უქადდა, იმდენათ სიამოვნებით და სიხარულით აღვნიშნავთ ყოველ ცდას ასეთი ნაბიჯების გამოსწორებისა.

უნდა იმედი ვიქონიოთ, რომ ეს გამოსწორება მოხდება არა მარტო თფილისის ორგანოში, არამედ ყველგან, სადაც დაშნაკელები დღემდე ჩვენს წინააღმდეგ გამწვავებულ და უსაბუთო აგიტაციას ეწეოდენ, დღეიდან ასეთ „შრომას“ თავს დაანებებენ.

ახალციხის აჯანყების გარშემო

დაშნაკური ინფორმაცია.

„ბაკინსკი რაბოჩი“-ში დაბეჭდილია ბაქოს სომხური საინფორმაციო ბიუროს ცნობა ახალციხის აჯანყების შესახებ.

ჩვენი მკითხველებისთვის ახალ ამბავს არ წარმოადგენს ის მოვლენა, რომ დაშნაკური ინფორმაციის ყოველთვის მიმართული იყო და არის საქართველოს წინააღმდეგ, რომ ეს ინფორმაცია ემსახურება მხოლოდ საქართველოს დამცირებას, სახელის გატეხას და სხ.

მარტო ამ მიზნით რომ იყოს შეთხზული ეს ინფორმაცია, ჩვენ მას უყურადღებოთ დავტოვებდით, მაგრამ აქ იქ ეძევს ყურადღებას მეორე მხარე, რომელიც ომაში მდგომარეობს, რომ სომეხი—შოვინისტები ცდილობენ ნიადაგი მოამზადონ მუსულმან ბეგებთან დასაახლოვებლათ საქართველოს დემოკრატიის წინააღმდეგ. აი რას ვკითხულობთ ამ ინფორმაციიდან!

ახალციხეში ქართველების მიერ დაპატიმრებული სომეხი მოდავწენი მუსულმანებს გაფუთავისუფლებით. ქართველები თურმე მათ აბრალებდნენ მუსულმან-თურქების წინააღმდეგ ბრძოლას.

ახალქალაქში სომეხ მუსულმანთა დამოკიდებულება გამოკეთდა ქართველ-სომეხთა ომის და ახალციხის უკანასკნელი ამბების შემდეგ.

ყველა ეს იმის მაჩვენებელია, რომ სომეხი შოვინისტები მარტო არ ირაზმებიან საქართველოს დემოკრატიის წინააღმდეგ, ისინი ეძებენ მოკავშირეებს და ეს მოკავშირეები მათ ჰპოვეს გენ. დენიკინისა ლ მუსულმანი ბეგების სახით

სომეხი-შოვინისტების და მუსულმანი ბეგების „დამაახლოებელი“ ინფორმაცია ასეთია:

„12 თებერვალს ბორჯომში მოვიდა ახალციხიდან გამოქცეული საქართველოს ჯარის ნაწილები. არტილერია და სალდათები მსწრაფლ სხდებოდნენ პირველ შეხვედრილ ვაგონებში და გარბოდნენ. მუსულმანებმა ახალციხე დაიკავეს 11 თებერვალს, საღამოს 6 საათზე. ინგლისელებმა, რომლებიც იქ რამდენიმე დღის წინათ იყვნენ მისულნი, ქართველებს წინადადება მისცეს უბრძოლველად დაეთმოთ მუსულმანებისთვის ქალაქი. ინგლისელები ქალაქში ზოგჯერ ისეთ განკარგულებებს იძლეოდნენ, რომლებიც ეწინააღმდეგებოდნენ ქართველებს ინტერესებს. ქართველები დათანხმდნენ ინგლისელებისთვის ქალაქის გადაცემაზე მხოლოდ მაშინ, როცა ქართულ ჯარში „პანიკა“ დაიწყო. მე 4 პოლკის ჯარისკაცები პირველ გასროლისთანავე გაქცევას შეუდგენ. იბრძოდენ მხოლოდ ოფიცრები. მუსულმანებმა ხელთ იგდეს გერმანელების მიერ დატოვებული 4 ჯავშნიანი ავტომობილი, რამდენიმე ზარბაზნები და დიდი სამხედრო ნადავლი. მუსულმანთა ჯარში იყვნენ ოსმალთა ასკერებიც. მოსალოდნელია მუსულმანების მიერ ბორჯომის დაკავება. ხმებია, რომ ბასთუმანში ქართველების ხოცვა ეჯერ

...

ტა იყოვო. ახალციხეში მუსულმანებ სომხებს კარგათ ეპყრობიან. 12 თებერვალს ახალციხეში წავიდა ზ. ზორიანი. მუსულმანებმა ახალციხეში გაანთავისუფლეს 20 სომეხი მოლვაწე, რომელნიც დატუსაღებული იყვნენ ქართველების მიერ მუსულმან-თურქების წინააღმდეგ საბრძოლველად ორგანიზაციის მოწყობის თაობაზე.

„ახალქალაქში ლეგიონერები თავის ბედის ამარათ არიან დატოვებულნი. ერთად ერთ დახმარებას სომეხ ლეგიონერებს უწევენ მუსულმანები, რომლებიც მათ კარგათ ეპყრობიან. და პურსაც აძლევენ. განსაკუთრებით გამოკეთდა სომეხ-მუსულმანთა ურთიერთი დამოკიდებულება ქართველ სომეხთა ომისა და ახალციხის უკანასკნელი ამბების შემდეგ“.

სამოქალაქო ომი ოერვის მსარეში

ამ სათაურით „ბარბა“—ში დაიბეჭდა ახმედ ცალიკოვის პირველი წერილი. წერილში მოყვანილი ზოგიერთი მოსაზრებანი ჩვენი მკითხველებისთვის საყურადღებოთ მიგვაჩნია. ახმედ ცალიკოვს, როგორც დაკვირვებულ პუბლიცისტს, ჩვენ ვიცნობთ პეტროგრადის „ნოვაია ჟიზნიდან“, როცა ის კერენსკის დროს უკმაყოფილო იყო დროებითი მთავრობის მოქმედებით, ხხარს უჭერდა და სახელს უკეთებდა მაშინ ბალშევიკურ მოძრაობას.

შემდეგ ახმედ ცალიკოვს ჩვენ ვხედავთ თერგის ხხარეში, სადაც ის ბალშევიკებთან ერთად მუშაობდა სხვადასხვა ალაგებს „სოვდეპებში“ და თუ მეხსიერება არ გვღალატობს, ბალშევიკების ძიერ მოწყვეულ ერთ ერთ ყრილობაზე მან პირდაპირ განაცხადა,—საბჭოთა მთავრობას ჩვენ იმიტომ ვუჭერთ ხხარს, რომ ყველაზე უფრო ეს მთავრობა იცავს დაჩაგრულ ერთა ინტერესებსო.

თავის თავად ცხადია, რომ საყურადღებოა ასეთი მწერლის აზრი ბალშევიზმის შესახებ.

აი რას სწერს, სხვათა შორის, ის:

„ეჭვი არაა, რომ ის, ვინც ჩაიგდებს ჩრდილო კავკასიას, ითამაშებს დიდ როლს მთელი ამიერ-კავკასიისთვისაც. ამიტომ საჭიროა ამიერ კავკასიის დემოკრატიამ დიდის ყურადღებით და სერიოზულად შეხედოს ჩრდილო-კავკასიის ამბებს.

„გიამარჯვებენ თუ არა ის ძალები, რომლებიც გამოდიან „რუსული სახელმწიფოებრივობის“ აღდგენის დროშით (ამასთანავე ეს „სახელმწიფოებრივობა“ შეღებილია სპეციფურ რევოლიუციის წინა პერიოდის სლოგანით) და მაშინვე რეაქციის ჰანნიბალი ხმლით დაუკაკუნებს ამიერ-კავკასიას დარიალის კარებში.

„რუსული ნაციონალურ-სახელმწიფოებრივი იდეა, ისე, როგორც ეს ესმით ყოველი ჯურის „დიდმპყრობელებს“, თავის დღეში ვერ შეუერგდება იმ სახელმწიფებრივ ერთეულებს, რომლებიც დაარსდენ, როგორც შედეგი რუსეთის დიდი რევოლიუციის გახსაკუთრებული განვითარებისა. შავი ლრუბლები ჩამოწვება დარიალის ხეობაში და რკინის კარები კასპიისა კიდევ დაინახავს ახალ სვლას პოლკებისა ორთავიანი არწივით.

„დამარცხდება რეაქციის ჰანნიბალი და გიამარჯვებს საბჭოთა რუსეთი. ამიერ კავკასია კიდევ დადგება ახალი საფრთხის წინაშე—ჩრდილოეთიდან შემოტევის წინაშე, რომელიც ბოლოს და ბოლოს მიგვიყვანს რუსული ნაციონალიზმის გამარჯვებამდე, რომლის სპეციფური ტანისამოსი არის ბალშევიზმი. ერთი ყველაზე საკვირველი მომენტი ყოფილ რუსეთის იმპერიის განაპირა ქვეყნებში რევოლიუციონური მოძრაობისა შეიძლება ის იყოს, რომ იქ ბალშევიკური მოძრაობა იღებს რუსულ ნაციონალურ მოძრაობის ხასიათს.

„ლენინის აფორიზმი, რომ ლოზუნგი: შექმნა ერთი დიდი განუყოფელი რუსეთისა, რომელიც წამოაყენა მოხალისეთა ჯარმა, მისთვის სრულიად მისაღებია, მხოლოდ ერთი შესწორებით, რომ მეტატოს სიტყვა რუსეთს სიტყვა „საბჭოთა“—არის მეტად საყურადღებო.

ᲓᲦᲔᲡ

ᲩᲕᲔᲜᲛᲐ მთავრობამ ნოტით მიმართა სახელმწიფოთა წარმომადგენლებს და პროტესტი განაცხადა იმის გამო, რომ მოხალისეთა ჯარის ხარდლობა მთელთა რესპუბლიკას არ სცნობს.

ᲑᲐᲗᲣᲛᲨᲘ ზღვით მოვიდა გენ. დენიკინის ტყვეობიდან განთავისუფლებული 360 ქართველი ჯარისკაცი. 35 მათში დაჭრილ დაავადმყოფებულია, დანარჩენები ჯ ნაალად არიან.

ცნობილი მახლოვის დ ᲑᲛᲐᲠᲘᲗᲘᲗ ᲑᲐᲗᲣᲛᲨᲘ ᲒᲘᲜᲓᲐ ᲛᲔᲝᲗᲐᲣᲠᲝᲑᲘᲗᲘ შეხდა „ᲑᲐᲗᲣᲛᲘᲡ ᲝᲚᲥᲘᲡ ᲛᲣᲨᲚᲘᲛᲐᲜ ᲮᲐᲚᲮᲘᲡ ᲮᲐᲑᲭᲝ“.

ᲛᲐᲐᲒᲘᲓᲐᲜ ᲛᲘᲦᲔᲑᲣᲚ ᲪᲜᲝᲑᲘᲗ ᲛᲝᲙᲐᲒᲨᲘᲠᲔᲑᲘᲡ ᲓᲐᲛᲧᲐᲠᲔᲑᲡ ᲠᲣᲡᲔᲗᲨᲘ. ᲨᲘᲜᲐᲣᲠ ᲮᲐᲛᲘᲗᲔᲑᲨᲘ ᲐᲠ ᲩᲐᲠᲔᲒᲘᲐᲜ. ᲘᲜᲒᲚᲔᲗᲘᲡ ᲘᲥᲕᲔᲗᲔᲑᲓᲐ ᲠᲣᲡᲔᲗᲘᲡ ᲬᲐᲠᲛᲝᲛᲐᲓᲒᲘᲜᲚᲔᲑᲘᲡ ᲙᲣᲜᲫᲣᲚᲔᲑᲖᲔ, ᲐᲜ ᲡᲮᲕᲐ ᲐᲓᲐᲒᲐᲜ ᲛᲝᲬᲕᲘᲣᲚ ᲙᲝᲜᲤᲔᲠᲔᲜᲪᲘᲐᲨᲘ ᲐᲠ ᲛᲘᲘᲦᲔᲑᲔᲜ. ᲘᲜᲒᲚᲘᲡᲘ ᲘᲥᲜᲔᲑᲐ ᲠᲣᲡᲔᲗᲘᲡ ᲬᲐᲠᲛᲝᲛᲐᲓᲒᲘᲜᲚᲔᲑᲘᲡ ᲙᲝᲜᲤᲔᲠᲔᲜᲪᲘᲐᲖᲔ ᲐᲜ ᲡᲮᲕᲐ ᲐᲓᲐᲒᲐᲜ ᲛᲝᲬᲕᲘᲣᲚ ᲙᲝᲜᲤᲔᲠᲔᲜᲪᲘᲐᲖᲔ. ᲣᲙᲘᲗᲮᲣ ᲐᲛ ᲬᲘᲜᲐᲓᲐᲓᲔᲑᲘᲡ ᲬᲘᲜᲐᲐᲚᲛᲓᲔᲒᲘ, ᲠᲝᲛᲚᲘᲗᲐᲜᲐᲪ ᲐᲠ ᲛᲘᲘᲦᲔᲑᲔᲜ, ᲛᲝᲙᲐᲒᲨᲘᲠᲔᲑᲘᲡ ᲬᲘᲜᲐᲐᲚᲛᲓᲔᲒ ᲮᲐᲛᲘᲗᲔᲑᲘᲡ ᲓᲐᲛᲐᲢᲔᲑᲘᲗᲘ ᲛᲝᲗᲮᲝᲕᲜᲘᲚᲔᲑᲘᲗᲐ ᲬᲘᲜᲐᲐᲚᲛᲓᲔᲒ ᲛᲘᲦᲔᲑᲣᲚᲘᲐ ᲠᲔᲡᲞᲣᲑᲚᲘᲙᲘᲡ ᲛᲪᲮᲝᲕᲠᲔᲑᲗᲐ ᲘᲜᲢᲔᲠᲔᲡᲔᲑᲘᲡ ᲡᲐᲖᲐᲠᲐᲚᲝᲗ, ᲐᲘᲫᲣᲚᲔᲑᲔᲜ ᲛᲗᲘᲔᲚ ᲔᲠᲔᲑᲡ ᲑᲐᲚᲨᲔᲕᲘᲙᲗᲐᲜ ᲑᲠᲫᲝᲚᲐ ᲓᲐ ᲠᲝᲛ ᲛᲗᲘᲔᲚᲗᲐ ᲛᲗᲐᲕᲠᲝᲑᲘᲡᲐᲓᲛᲘ ᲬᲐᲠᲓᲒᲔᲜᲘᲚᲘ ᲛᲝᲗᲮᲝᲕᲜᲘᲚᲔᲑᲘᲡ ᲐᲠᲘᲡ ᲨᲔᲚᲐᲮᲕᲐ ᲮᲐᲚᲮᲗᲐ ᲗᲕᲘᲗᲒᲐᲛᲝᲠᲙᲕᲔᲕᲘᲡ ᲞᲠᲘᲜᲪᲘᲞᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲪᲔᲓᲐ ᲛᲗᲘᲔᲚᲗᲐ ᲠᲔᲡᲞᲣᲑᲚᲘᲙᲘᲡ ᲓᲐᲛᲝᲣᲙᲘᲓᲔᲑᲚᲝᲑᲘᲡ ᲛᲝᲡᲐᲡᲐᲠᲗᲕᲔᲚᲐᲗ, ᲠᲝᲛᲚᲔᲑᲘᲡ ᲐᲦᲘᲠᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ, ᲐᲜ ᲣᲐᲠᲧᲝᲤᲐ ᲡᲐᲒᲜᲔᲑᲘᲗ ᲓᲐᲛᲝᲙᲘᲓᲔᲑᲚᲘᲐ ᲡᲐᲔᲠᲗᲐᲨᲝᲠᲘᲡᲝ ᲙᲝᲜᲒᲠᲔᲡᲘᲡ ᲒᲐᲓᲐᲬᲧᲕᲔᲢᲘᲚᲔᲑᲘᲡᲐᲖᲔ.

ᲐᲛᲘᲔᲠ-ᲙᲐᲕᲙᲐᲡᲘᲘᲡ ᲔᲠᲗᲘᲐᲜᲘ ᲡᲝᲚᲘᲓᲐᲠᲝᲑᲐ, ᲓᲐᲤᲣᲫᲜᲣᲑᲔᲚᲘ ᲣᲠᲗᲘᲔᲠᲗ ᲪᲜᲝᲑᲐᲖᲔ ᲓᲐ ᲜᲓᲝᲑᲐᲖᲔ ᲙᲐᲕᲙᲐᲡᲘᲘᲡ ᲠᲔᲡᲞᲣᲑᲚᲘᲙᲐᲗᲐ, ᲠᲝᲛᲚᲔᲑᲘᲪ ᲛᲫᲘᲠᲠᲗᲐ ᲐᲠᲘᲐᲜ ᲒᲐᲓᲐᲑᲛᲣᲚᲜᲘ ᲔᲠᲗᲛᲜᲘᲗᲘᲗᲐᲜ ᲔᲙᲝᲜᲝᲛᲘᲣᲠ ᲓᲐ ᲘᲡᲢᲝᲠᲘᲣᲚ ᲓᲐᲮᲛᲘᲗᲐᲜᲘᲡ ᲙᲐᲕᲨᲐᲠᲘᲗ, ᲐᲜᲐᲚᲔᲑᲡ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲠᲔᲡᲞᲣᲑᲚᲘᲙᲘᲡ ᲛᲗᲐᲕᲠᲝᲑᲘᲡᲐᲓᲛᲘ ᲓᲐᲛᲧᲐᲠᲔᲑᲣᲚᲘ ᲠᲣᲡᲔᲗᲘᲡ ᲠᲔᲡᲞᲣᲑᲚᲘᲙᲘᲡ ᲓᲐᲛᲝᲣᲙᲘᲓᲔᲑᲚᲝᲑᲘᲡ ᲛᲝᲡᲐᲡᲐᲠᲗᲕᲔᲚᲐᲗ, ᲠᲝᲛᲚᲔᲑᲘᲪ ᲐᲠᲘᲡᲐᲜ ᲒᲐᲓᲐᲬᲧᲕᲔᲢᲘᲚᲘᲐ ᲙᲝᲜᲤᲔᲠᲔᲜᲪᲘᲘᲡ ᲒᲐᲓᲐᲬᲧᲕᲔᲢᲘᲚᲔᲑᲘᲡᲐᲖᲔ.

„ᲠᲣᲡᲔᲗᲘᲡ ᲛᲝᲙᲠᲘᲒᲔᲑᲐ ᲮᲓᲔᲑᲐ ᲝᲠᲘ ᲓᲠᲝᲨᲘᲡ ᲥᲕᲔᲨ: ᲣᲙᲘᲓᲣᲠᲔᲡ ᲠᲔᲐᲥᲪᲘᲝᲜᲣᲠ ᲓᲐ ᲣᲙᲘᲓᲣᲠᲔᲡ ᲠᲔᲕᲝᲚᲘᲣᲪᲘᲝᲜᲣᲠ ᲓᲠᲝᲨᲘᲡᲐ, ᲛᲐᲒᲠᲐᲛ ᲝᲑᲘᲔᲥᲢᲘᲣᲠᲐᲓ ᲐᲛ ᲛᲝᲫᲐᲠᲐᲝᲑᲔᲑᲡ ᲛᲘᲕᲧᲕᲐᲠᲗ ᲔᲠᲗᲘᲡᲙᲔᲜ — „ᲔᲠᲗᲘᲐᲜ ᲒᲐᲜᲣᲧᲝᲤᲔᲚ ᲠᲣᲡᲔᲗᲘᲡᲙᲔᲜ“ — ᲓᲐ ᲘᲥᲜᲔᲑᲐ ᲔᲡ ᲡᲐᲑᲭᲝᲗᲐ ᲠᲣᲡᲔᲗᲘ, ᲗᲣ ᲛᲝᲜᲐᲠᲥᲘᲡᲢᲣᲚᲘ, ᲧᲕᲔᲚᲔ ᲨᲔᲛᲗᲮᲕᲔᲕᲐᲨᲘ, ᲔᲡ ᲐᲠ ᲘᲥᲜᲔᲑᲐ ᲓᲐᲛᲝᲙᲘᲓᲔᲑᲣᲚᲘ ᲛᲝᲫᲠᲐᲝᲑᲔᲑᲘᲡ ᲮᲔᲚᲛᲫᲦᲕᲐᲜᲔᲚᲗᲐ ᲤᲠᲐᲖᲔᲝᲚᲝᲒᲘᲐᲖᲔ.

„ᲤᲠᲐᲖᲔᲑᲘᲡ ᲘᲚᲚᲘᲣᲖᲘᲔᲑᲘ ᲒᲐᲫᲭᲠᲘᲡᲐ, ᲠᲝᲒᲝᲠᲪ ᲪᲮᲝᲚᲘ ᲓᲐ ᲒᲐᲘᲛᲐᲠᲯᲕᲔᲑᲘᲡ ᲣᲮᲔᲨᲘ ᲤᲐᲥᲢᲘᲑᲘ ᲡᲘᲜ.ᲛᲓᲒᲠᲔᲚᲘᲡᲐ.

„ᲡᲐᲑᲭᲝᲗᲐ ᲛᲗᲐᲕᲠᲝᲑᲐ ᲔᲚᲕᲘᲡ ᲡᲘᲡᲬᲠᲐᲤᲘᲗ ᲓᲐᲔᲪᲐ ᲩᲠᲓᲘᲚᲝ ᲙᲐᲕᲙᲐᲡᲘᲐᲨᲘ ᲡᲬᲝᲠᲔᲓ ᲗᲐᲕᲘᲡ ᲔᲠᲗᲘ ᲬᲚᲘᲡ ᲘᲥᲑᲘᲚᲘᲡᲘᲡ ᲬᲘᲜᲐ ᲓᲦᲔᲔᲑᲨᲘ. ᲠᲐᲓ ᲛᲝᲮᲓᲐ ᲔᲡ? ᲖᲝᲒᲘ ᲐᲬᲔᲠᲡ ᲐᲛ ᲒᲐᲠᲔᲛᲝᲔᲑᲐᲡ ᲓᲔᲜᲘᲙᲘᲜᲘᲡ ᲒᲔᲜᲔᲠᲚᲔᲑᲘ, ᲛᲐᲒᲠᲐᲛ ᲔᲡ ᲐᲠᲘᲡ ᲧᲕᲔᲚᲐᲖᲔ ᲣᲤᲠᲝ ᲒᲣᲚᲣᲑᲠᲧᲘᲚᲝ ᲨᲔᲮᲔᲓᲣᲚᲔᲑᲐ. ᲡᲐᲑᲭᲝᲗᲐ ᲛᲗᲐᲕᲠᲝᲑᲐ ᲗᲔᲠᲒᲘᲡ ᲝᲚᲥᲨᲘ ᲘᲧᲝ ᲨᲔᲛᲝᲢᲐᲜᲘᲚᲘ ᲛᲝᲕᲚᲔᲜᲐ, ᲠᲝᲛᲔᲚᲡᲐᲪ ᲐᲠ ᲰᲥᲝᲜᲓᲐ ᲛᲐᲒᲐᲠᲘ ᲝᲠᲒᲐᲜᲘᲖᲣᲚᲘ ᲤᲣᲜᲥᲪᲘᲔᲑᲘ ᲛᲮᲐᲠᲔᲑᲨᲘ ᲓᲐ ᲪᲮᲝᲕᲠᲔᲑᲘᲡ ᲡᲣᲚᲘᲔᲠ ᲨᲔᲑᲔᲠᲕᲐ ᲘᲧᲝ ᲡᲐᲭᲝᲠᲝ, ᲠᲝᲛ ᲔᲡ ᲩᲠᲓᲘᲚᲘᲡ ᲡᲐᲮᲚᲘ, ᲑᲐᲚᲨᲔᲕᲘᲙᲔᲑᲘᲡ ᲛᲘᲠ ᲜᲐᲬᲘᲜᲘ ᲓᲐ ᲒᲐᲮᲓᲘᲚᲘ ᲓᲐᲜᲒᲠᲔᲣᲚᲘᲧᲝ.

„ᲡᲐᲑᲭᲝᲗᲐ ᲛᲗᲐᲕᲠᲝᲑᲐ ᲐᲠᲡᲔᲑᲝᲑᲓᲐ ᲗᲘᲗᲥᲛᲘᲡ ᲛᲗᲔᲚᲘ ᲬᲚᲘᲡ ᲒᲐᲜᲛᲐᲒᲚᲝᲑᲐᲨᲘ — ᲔᲡ ᲐᲠ ᲒᲐᲜᲘᲡᲐᲖᲦᲕᲠᲔᲑᲝᲓᲐ ᲛᲘᲡ ᲨᲘᲜᲐᲒᲐᲜᲘ ᲚᲘᲠᲘᲡᲑᲘᲗ, ᲐᲠᲐᲛᲘᲓᲔ — ᲛᲮᲝᲚᲝᲓ ᲘᲛᲘᲗ, ᲠᲝᲛ ᲗᲐᲠᲒᲘᲡ ᲝᲚᲥᲘ ᲛᲣᲓᲐᲛ ᲘᲛᲧᲝᲤᲘᲗᲝᲓᲐ ᲧᲐᲖᲐᲮᲗᲐ ᲨᲔᲛᲪᲚᲔᲚᲘᲡ ᲞᲘᲠᲝᲑᲐᲨᲘ ᲓᲐ ᲧᲐᲖᲐᲮᲗᲐ ᲨᲘᲠᲒᲘᲡ ᲙᲐᲠᲗᲕᲘᲗ ᲨᲔᲫᲚᲔᲑᲐ ᲰᲥᲝᲜᲓᲔᲗ ᲛᲮᲝᲚᲝᲓ ᲔᲠᲗᲘ ᲓᲐ ᲘᲗᲘᲗᲐᲠᲘ ᲛᲘᲖᲔᲖᲘ ᲐᲠᲘᲡ ᲨᲔᲚᲐᲮᲕᲐ ᲮᲐᲚᲮᲗᲐ ᲗᲕᲘᲗᲒᲐᲛᲝᲠᲙᲕᲔᲕᲘᲡ ᲞᲠᲘᲜᲪᲘᲞᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲪᲔᲓᲐ ᲛᲗᲘᲔᲚᲗᲐ ᲠᲔᲡᲞᲣᲑᲚᲘᲙᲘᲡ ᲓᲐᲛᲝᲣᲙᲘᲓᲔᲑᲚᲝᲑᲘᲡ ᲛᲝᲡᲐᲡᲐᲠᲗᲕᲔᲚᲐᲗ, ᲠᲝᲛᲚᲔᲑᲘᲪ ᲐᲠᲐᲜᲐᲠᲘᲡ ᲒᲐᲛᲝᲠᲩᲘᲚᲔᲑᲘᲡ ᲓᲐᲛᲐᲡᲐᲠᲗᲐᲚᲘ ᲐᲠᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲫᲚᲔᲑᲚᲘᲡ ᲒᲐᲛᲝ ᲓᲐᲛᲐᲚᲣᲚᲘ ᲐᲠᲘᲡ ᲛᲝᲛᲐᲕᲐᲚᲨᲘ ᲗᲐᲕᲘᲡ ᲬᲐᲠᲛᲝᲛᲐᲓᲒᲘᲜᲚᲔᲑᲘᲡ ᲓᲐᲛᲐᲡᲐᲠᲗᲐᲚᲐᲓ.

„ᲘᲡ ᲗᲐᲕᲘᲡᲘᲗ ᲛᲗᲐᲕᲠᲝᲑᲐ ᲔᲚᲕᲘᲡ ᲡᲘᲡᲬᲠᲐᲤᲘᲗ ᲓᲐᲔᲪᲐ ᲩᲠᲓᲘᲚᲝ ᲙᲐᲕᲙᲐᲡᲘᲘᲡᲨᲘ ᲡᲬᲝᲠᲔᲓ ᲗᲐᲕᲘᲡ ᲔᲠᲗᲘ ᲬᲚᲘᲡ ᲘᲥᲑᲘᲚᲘᲡᲘᲡ ᲬᲘᲜᲐ ᲓᲦᲔᲔᲑᲨᲘ. ᲠᲐᲓ ᲛᲝᲮᲓᲐ ᲔᲡ? ᲖᲝᲒᲘ ᲐᲬᲔᲠᲡ ᲐᲛ ᲒᲐᲠᲔᲛᲝᲔᲑᲐᲡ ᲓᲔᲜᲘᲙᲘᲜᲘᲡ ᲒᲔᲜᲔᲠᲚᲔᲑᲘ, ᲛᲐᲒᲠᲐᲛ ᲔᲡ ᲐᲠᲘᲡ ᲧᲕᲔᲚᲐᲖᲔ ᲣᲤᲠᲝ ᲒᲣᲚᲣᲑᲠᲧᲘᲚᲝ ᲨᲔᲮᲔᲓᲣᲚᲔᲑᲐ. ᲡᲐᲑᲭᲝᲗᲐ ᲛᲗᲐᲕᲠᲝᲑᲐ ᲗᲔᲠᲒᲘᲡ ᲝᲚᲥᲨᲘ ᲘᲧᲝ ᲛᲘᲦᲔᲑᲣᲚᲘ ᲡᲐᲛᲮᲔᲓᲠᲝ ᲝᲠᲒᲐᲜᲘᲖᲐᲪᲘᲘᲡ ᲛᲝᲬᲧᲝᲑᲐ ᲣᲜᲓᲐ ᲔᲣᲧᲝᲤᲜᲝᲗ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲓᲐᲛᲝᲙᲘᲓᲔᲑᲣᲚᲝᲑᲘᲡ ᲬᲘᲜᲐᲐᲚᲛᲓᲔᲒ ᲓᲐᲛᲝᲣᲙᲘᲓᲔᲑᲚᲝᲑᲘᲡ ᲛᲝᲡᲐᲡᲐᲠᲗᲕᲔᲚᲐᲓ, ᲠᲝᲛᲚᲔᲑᲘᲪ ᲓᲐᲣᲧᲝᲤᲜᲔᲑᲚᲘᲐ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲠᲔᲡᲞᲣᲑᲚᲘᲙᲘᲡ ᲬᲘᲜᲐᲐᲠᲡᲘ ᲓᲐ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲡᲐᲮᲚᲘᲡ ᲬᲘᲜᲐᲨᲔ.

„ᲘᲡ ᲛᲗᲐᲕᲠᲝᲑᲐ, ᲛᲗᲔᲚᲘ ᲗᲐᲕᲘᲡᲘᲡ ᲡᲐᲨᲘᲜᲔᲚᲔᲑᲘᲗ, ᲔᲛᲧᲐᲠᲔᲑᲝᲓᲐ ᲛᲝᲡᲣᲚ ᲬᲘᲗᲔᲚ ᲐᲠᲛᲘᲔᲚᲗᲐ ᲮᲘᲨᲢᲔᲑᲡ, ᲠᲝᲛᲚᲔᲑᲘᲪ ᲛᲘᲡᲣᲚᲧᲕᲔᲜ ᲨᲔᲚᲔᲚᲘᲗ ᲛᲗᲘᲔᲚᲗᲐ ᲒᲐᲜᲐᲗᲚᲔᲑᲚᲐ . ᲛᲮᲐᲠᲘᲡ ᲑᲘᲓᲘᲡ ᲒᲐᲛᲝᲠᲩᲔᲓᲐᲗ ᲘᲧᲕᲜᲔᲜ ᲛᲘᲡᲣᲚᲘ ᲮᲐᲚᲮᲘ , ᲠᲝᲛᲚᲔᲑᲘᲗᲪ ᲐᲠᲐᲕᲘᲗᲐᲠᲘ ᲙᲐᲕᲨᲘᲠᲘ ᲐᲠ ᲰᲥᲝᲜᲓᲐᲗ ᲛᲮᲐᲠᲘᲡᲗᲐᲜ“.

ᲣᲙᲐᲜᲐᲡᲙᲜᲔᲚᲘ ᲪᲜᲝᲑᲔᲑᲘ

ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘ. მარტის 3. საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკის გარეშე საქმეთა მინისტრმა თფილისში მყოფ ყველა ᲣᲪᲮᲝ სახელმწიფოთა დიპლომატიურ წარმომადგენლებს შემდეგი შინაარსის ნოტა დაუგზავნა:

„ᲩᲕᲔᲜ ᲛᲘᲠ ᲛᲗᲘᲔᲚᲗᲐ ᲛᲗᲐᲕᲠᲝᲑᲘᲡᲒᲐᲜ ᲛᲘᲦᲔᲑᲣᲚ ᲝᲤᲘᲪᲘᲐᲚᲣᲠᲘ ᲪᲜᲝᲑᲘᲗ ᲛᲝᲮᲓᲐ ᲚᲘᲡᲗᲐᲗᲐᲜ ᲚᲐᲨᲥᲠᲘᲡ ᲛᲗᲐᲕᲐᲠ ᲡᲐᲠᲓᲚᲝᲑᲘᲡ ᲩᲠᲓᲘᲚᲝ ᲙᲐᲕᲙᲐᲡᲘᲘᲡ ᲛᲗᲘᲔᲚᲗᲐ ᲙᲐᲕᲨᲘᲠᲘᲡ ᲠᲔᲡᲞᲣᲑᲚᲘᲙᲘᲡ ᲛᲗᲐᲕᲠᲝᲑᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲑᲐᲜᲐᲡ ᲬᲐᲠᲓᲒᲔᲜᲘᲚᲘ ᲐᲠᲘᲡ ᲛᲝᲛᲐᲒᲘᲗᲘ ᲛᲘᲗᲘᲗᲔᲑᲐ ᲛᲘᲡᲘ ᲛᲝᲛᲬᲘᲓᲠᲔᲑᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲒᲐᲜᲐᲪᲮᲐᲓᲔᲑᲘᲡᲐ, ᲛᲗᲐᲕᲐᲠᲘ ᲛᲘᲖᲜᲐᲜ ᲛᲘᲡᲘ ᲛᲝᲛᲬᲘᲓᲠᲔᲑᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲒᲐᲜᲐᲪᲮᲐᲓᲔᲑᲘᲡᲐ ᲛᲘᲖᲜᲘᲗ ᲛᲘᲡᲘ ᲛᲝᲛᲬᲘᲓᲠᲔᲑᲘᲡ ᲓᲐᲛᲧᲐᲠᲔᲑᲘᲡ ᲓᲐᲛᲝᲣᲙᲘᲓᲔᲑᲚᲝᲑᲘᲡ ᲛᲘᲡᲐᲪᲔᲛᲐᲓ, ᲠᲝᲛᲚᲘᲡᲐᲪ ᲐᲠᲘᲡ ᲛᲘᲜᲘᲭᲣᲚᲘ ᲛᲘᲡᲘ ᲛᲝᲛᲬᲘᲓᲠᲔᲑᲘᲡ ᲓᲐᲛᲧᲐᲠᲔᲑᲘᲡ ᲓᲐᲛᲝᲣᲙᲘᲓᲔᲑᲚᲝᲑᲘᲡ ᲛᲘᲖᲔᲖᲘᲗ.

ᲛᲘᲚᲘᲪᲘᲝᲜᲔᲠᲣᲚᲘ ᲠᲔᲠᲘᲝᲜᲘᲡ ᲛᲘᲛᲐᲠᲗᲣᲚᲔᲑᲘᲗ ᲜᲝᲔᲛᲑᲠᲘᲡ 27, (ᲛᲘᲚᲘᲪᲘᲣᲚᲘᲐ ᲓᲐᲒᲕᲘᲜᲘᲗ). ᲑᲐᲗᲣᲛᲨᲘ ᲨᲔᲘᲛᲐᲢᲐ ᲙᲘᲓᲔᲕ ᲔᲠᲗᲘ ᲐᲮᲐᲚᲘ ᲡᲐᲑᲭᲝ, ᲡᲐᲮᲚᲘᲡᲓᲝᲛᲐᲠ: „ᲑᲐᲗᲣᲛᲘᲡ ᲝᲚᲥᲘᲡ ᲛᲣᲨᲣᲚᲛᲐᲜ ᲮᲚᲘᲡ ᲡᲐᲑᲭᲝ“. ᲡᲐᲑᲭᲝᲡ ᲓᲐᲛᲢᲙᲘᲪᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲮᲔᲑ ᲛᲝᲛᲐᲠᲗᲣᲚᲘ ᲒᲐᲜᲪᲮᲐᲓᲔᲑᲘᲡᲐᲖᲔ ᲮᲔᲚᲘᲡ ᲐᲬᲔᲠᲡ ᲕᲘᲜᲛᲔ ᲐᲗᲐᲑᲔᲯᲒᲝᲕᲘ, თუმცა გამოუკვეთელია ვინᲡᲖᲔ ეყრდნობა ის. ცხადია, მას კავშირი აქვს ᲑᲜ მასლოვთან. დღეს დ ᲚᲘᲗ მოულოდნელათ გაიმგზავრა სტამბოლი-საკენ გრაფი შულენბურგი, საოლქო საᲑᲭᲝს მიერ აღდგენილ იქნა სასურსათო კომიტეტი, რომელშიაც შედიან თითქმის ყველა საზოგადოებრივ დაწესებულებათა წარმომადგენელნი.

ᲑᲐᲗᲣᲛᲘ. მარტის 4. 2 მარტს მოვიდა მოხალისეთა გემი, რომელზედაც არის 360 დენიკინის ჯარის მიერ დატყვევებული ქართველი ჯარისკაცი. ვინაიდან ინგლისელებს ამ გემის შესახებ ცნობა არა ᲰᲥᲝᲜᲘᲗ, ტყვეების გადმოსხმის ნებას არ იძლევიან, ვიდრე თფილისიდან პასუხი არ მოუვათ. ჩამოსულთა სიტყვით გენ. კონიაშვილი და უფროსი ოფიცრები ტუაპეში ყავთ, ხოლო ადმინისტრაციის მოხელენი სოჭაში. ჯარისკაცთა შორის 35 კაცი დაჭრილი და დაავადმყოფებულია, დანარჩენები ყოჩადათ გამოიყურებიან. ᲩᲕᲔᲜᲘ ᲜᲐᲪᲘᲝᲜᲐᲚᲣᲠᲘ ᲡᲐᲑᲭᲝ ᲛᲐᲗ ᲓᲘᲓᲘ ᲧᲣᲠᲐᲦᲚᲔᲑᲘᲗ ᲔᲪᲧᲠᲝᲑᲐ, ᲠᲝᲛᲚᲘᲡᲐᲪ ᲐᲠᲘᲡ ᲛᲘᲜᲘᲭᲣᲚᲘ ᲛᲘᲡᲘ ᲛᲝᲛᲬᲘᲓᲠᲔᲑᲘᲡ ᲓᲐᲛᲧᲐᲠᲔᲑᲘᲡ ᲓᲐᲛᲝᲣᲙᲘᲓᲔᲑᲚᲝᲑᲘᲡ ᲛᲘᲖᲔᲖᲘᲗ.

ᲞᲠᲝᲤ. ᲙᲐᲕᲨᲘᲠᲗᲐ ᲙᲝᲜᲤᲔᲠᲔᲜᲪᲘᲘᲡ ᲒᲐᲠᲨᲔᲛᲝ.

ᲑᲐᲥᲣᲡᲘᲡ ᲞᲠᲝᲤᲔᲡᲘᲝᲜᲐᲚᲣᲠᲘ ᲙᲐᲕᲨᲘᲠᲗᲐ ᲡᲐᲥᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲨᲔᲛᲓᲔᲒᲘ ᲬᲘᲠᲘᲚᲘᲗ ᲛᲘᲛᲐᲠᲗᲐ ᲙᲐᲕᲙᲐᲡᲘᲘᲡ ᲠᲔᲡᲞᲣᲑᲚᲘᲙᲘᲡ ᲛᲗᲐᲕᲠᲝᲑᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲛᲝᲗᲮᲝᲕᲜᲘᲚᲔᲑᲘᲗ ᲓᲐᲔᲛᲐᲠᲗᲐ ᲡᲐᲒᲐᲜᲒᲔᲑᲝ ᲜᲝᲢᲐ ᲓᲐᲣᲒᲖᲐᲕᲜᲘᲚᲘᲐ. ᲛᲘᲜᲐᲣᲠ ᲮᲐᲛᲘᲗᲔᲑᲨᲘ ᲐᲠ ᲩᲐᲠᲔᲒᲘᲐᲜ. ᲘᲜᲒᲚᲔᲗᲘᲡ ᲘᲥᲕᲔᲗᲔᲑᲓᲐ ᲠᲣᲡᲔᲗᲘᲡ ᲬᲐᲠᲛᲝᲛᲐᲓᲒᲘᲜᲚᲔᲑᲘᲡ ᲙᲣᲜᲫᲣᲚᲔᲑᲖᲔ ᲐᲜ ᲡᲮᲕᲐ ᲐᲓᲐᲒᲐᲜ ᲛᲝᲬᲕᲘᲣᲚ ᲙᲝᲜᲤᲔᲠᲔᲜᲪᲘᲐᲨᲘ ᲐᲠ ᲛᲘᲘᲦᲔᲑᲔᲜ. ᲘᲜᲒᲚᲘᲡᲘ ᲘᲥᲜᲔᲑᲐ ᲠᲣᲡᲔᲗᲘᲡ ᲬᲐᲠᲛᲝᲛᲐᲓᲒᲘᲜᲚᲔᲑᲘᲡ ᲙᲝᲜᲤᲔᲠᲔᲜᲪᲘᲘᲡ ᲐᲓᲒᲘᲚᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲮᲔᲑ ᲛᲘᲡᲐᲪᲔᲛᲐᲓ. ᲐᲛᲓᲔᲜᲐᲠᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲛᲘᲜᲘᲭᲣᲚᲘ ᲛᲘᲡᲘ ᲛᲝᲛᲬᲘᲓᲠᲔᲑᲘᲡ ᲓᲐᲛᲧᲐᲠᲔᲑᲘᲡ ᲓᲐᲛᲝᲣᲙᲘᲓᲔᲑᲚᲝᲑᲘᲡ ᲛᲘᲖᲔᲖᲘᲗ ᲛᲘᲜᲓᲘᲜᲐᲠᲔᲑᲝᲑᲐ.

ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘ. მარტის 4. 2 მარტს სოფ.ᲛᲝᲡ 7 ს. შესდგა ქალაქის ახალი საᲑᲭᲝს ᲡᲮᲓᲝᲛᲐ. საᲑᲭᲝს თავმჯდომარეთ არჩეულ იქნა ლადგროსი კილერაძე (ს. დ.) მის ამხანაგად არ. სამსონაძე (ს. დ.) და მდივნათ ქალაქის გამგეობის მდივანი ოსიაძე (უპარტ.), ქალაქის მოურავად აირჩიეს ალ. კორძაია (ს. დ.). ქალაქის გამგეობაში გ. ჩიტაია, ა. ინწკირველი და Თ. ᲭᲣᲗᲐᲗᲘᲚᲐᲫᲔ.

ᲑᲐᲗᲣᲛᲘ. თებერვლის 27, (მიღებულია დაგვიანებით). ᲑᲐᲗᲣᲛᲨᲘ ᲨᲔᲘᲛᲐᲢᲐ ᲙᲘᲓᲔᲕ ᲔᲠᲗᲘ ᲐᲮᲐᲚᲘ ᲡᲐᲑᲭᲝ, ᲡᲐᲮᲚᲘᲡᲓᲝᲛᲐᲠ: „ᲑᲐᲗᲣᲛᲘᲡ ᲝᲚᲥᲘᲡ ᲛᲣᲨᲣᲚᲛᲐᲜ ᲮᲚᲘᲡ ᲡᲐᲑᲭᲝ“. საᲑᲭᲝს დამტკიცების შესახებ მომართულ განცხადებაზე ხელს აწერს ვინმე ათაᲑᲯᲒᲝᲕᲘ, თუმცა გამოუკვეთელია ვინᲡᲖᲔ ეყრდნობა ის. ცხადია, მას კავშირი აქვს ᲑᲜ მასლოვთან. დღეს დ ᲚᲘᲗ მოულოდნელათ გაიმგზავრა სტამბოლი-საკენ გრაფი შულენბურგი, საოლქო საᲑᲭᲝს მიერ აღდგენილ იქნა სასურსათო კომიტეტი, რომელშიაც შედიან თითქმის ყველა საზოგადოებრივ დაწესებულებათა წარმომადგენელნი.

ᲑᲐᲗᲣᲛᲘ. მარტის 2. მოვიდა მოხალისეთა გემი, რომელზედაც არის 360 დენიკინის ჯარის მიერ დატყვევებული ქართველი ჯარისკაცი. ვინაიდან ინგლისელებს ამ გემის შესახებ ცნობა არა ᲰᲥᲝᲜᲘᲗ, ტყვეების გადმოსხმის ნებას არ იძლევიან, ვიდრე თფილისიდან პასუხი არ მოუვათ. ჩამოსულთა სიტყვით გენ. კონიაშვილი და უფროსი ოფიცრები ტუაპეში ყავთ, ხოლო ადმინისტრაციის მოხელენი სოჭაში. ჯარისკაცთა შორის 35 კაცი დაჭრილი და დაავადმყოფებულია, დანარჩენები ყოჩადათ გამოიყურებიან. ᲩᲕᲔᲜᲘ ᲜᲐᲪᲘᲝᲜᲐᲚᲣᲠᲘ ᲡᲐᲑᲭᲝ ᲛᲐᲗ ᲓᲘᲓᲘ ᲧᲣᲠᲐᲦᲚᲔᲑᲘᲗ ᲔᲪᲧᲠᲝᲑᲐ, ᲠᲝᲛᲚᲘᲡᲐᲪ ᲐᲠᲘᲡ ᲛᲘᲜᲘᲭᲣᲚᲘ ᲛᲘᲡᲘ ᲛᲝᲛᲬᲘᲓᲠᲔᲑᲘᲡ ᲓᲐᲛᲧᲐᲠᲔᲑᲘᲡ ᲓᲐᲛᲝᲣᲙᲘᲓᲔᲑᲚᲝᲑᲘᲡ ᲛᲘᲖᲔᲖᲘᲗ.

ᲞᲠᲝᲤ. ᲙᲐᲕᲨᲘᲠᲗᲐ ᲙᲝᲜᲤᲔᲠᲔᲜᲪᲘᲘᲡ ᲒᲐᲠᲨᲔᲛᲝ.

ᲑᲐᲥᲣᲡᲘᲡ ᲞᲠᲝᲤᲔᲡᲘᲝᲜᲐᲚᲣᲠᲘ ᲙᲐᲕᲨᲘᲠᲗᲐ ᲡᲐᲥᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲨᲔᲛᲓᲔᲒᲘ ᲬᲘᲠᲘᲚᲘᲗ ᲛᲘᲛᲐᲠᲗᲐ ᲙᲐᲕᲙᲐᲡᲘᲘᲡ ᲠᲔᲡᲞᲣᲑᲚᲘᲙᲘᲡ ᲛᲗᲐ

ლებს და მილიციასაც დაუყრია იარაღი: მარტის პირველს გამოვიდა გაზეთი „მილიცია“.

ჩვენ არ ვიცით ვინ არიან ეს უსახელო პირები, რომელნიც „სარედაქციო კოლეგიის“ სახელით გამოვლინებიან. სტამბაც კი არ არის აღნიშნული, სადაც „მილიცია“ იბეჭდება. ამ გარემოების აღნიშვნას საჭიროთ ვთვლი იმიტომ, რომ მილიციამ სხვაზე უფრო კარგათ უნდა იცოდეს, რომ ზოგიერთი ფორმალობის შესრულება სავალდებულოა.

მაგრამ ეს შედარებით წვრილმანია. თავი და თავი ის არის, რომ ჩვენ ვერ გაგვიგია: როგორ შეუძლია მილიციას ამ მოუცელელობის დროს ხარჯოს კიდევ ზედმეტი ენერგია ყოველ კვირეულ გაზეთის საწარმოებლათ, როგორ შეუძლია მას ამ ქაოსდის და მუშა ხელის სიძვირის დროს გაუძღოს გაზეთის ხარჯებს, როცა ის ისედაც მცირე ჯამაგირს იღებს... ჩვენ ვფიქრობთ, რომ მილიციას აქვს სხვა მოვალეობა, რომლის ასრულება უნდა ყოფილიყო პირველ რიგში დასმული და თუ კიდევ დარჩებოდა ზედმეტი, თავისუფალი დრო, ის უნდა მოეხმარებინათ გაზეთისათვის, მაგრამ სად არის ეს თავისუფალი დრო: თფილისის მოქალაქე ხედავს უბედურებას, დაუგვიდ და მკვდარ ძალლ-კატებით მოფენილ ქუჩებ; ხედავს, რომ მძარცველები ხშირათ ყოველივე წრეს გადადიან და ამ დროს ჩვენი მილიცია ლიტერატურულ ვარჯ შობას უნდება.

მართალია, ჩვენი ქვეყანა თავისუფლების კუთხეა, ჩვენი სახელმწიფო-დემოკრატიული რესპუბლიკაა, მაგრამ დემოკრატიულ წყობილების ერთი მთავარი დამახასიათებელი თვისებაა—მოვალეობის შეგნება, ვალდებულების გრძნობა.

ეი ეს გრძნობა აკლია ჩვენს დაწესებულებებს და მოხელეებს და არა გვგონია იმ გზით შეიძლებოდეს საქმის გამოსწორება, რა გზითაც „მილიცია“ ფიქრობს ამაზე.

საზოგადოებას ესაჭიროება არა ქალალდის „მილიცია“, არამედ ნამდვილი, წესრიგის დამცველი მილიცია.

ელი.

ᲥᲐᲚᲐᲥᲘᲡ ᲡᲐᲒᲭᲝ

4 მარტის სხდომა.

თავმჯდომარეობს ალ. ლომთათიძე.

ლეონ წესრიგის გარჩევამდე საბჭო იხილავს ახლად შემოსულ საკითხებს.

ხ. მაქელაძე ცნობისათვის მოახსენებს საბჭოს ქალაქში ავათმყოფობის მსვლელობის შესახებ. მომხსენებელის სიტყვით თებერვალში ავადმყოფთა რიცხვი 1833 უდრიდა, იანვარში კი 1878. აქედან ვხედავთ, რომ ავათმყოფთა რიცხვი თებერვალში უფრო ნაკლებია, ვიდრე იანვარში. ამასთანავე მხედველობაში უნდა მივიღოთ, რომ თებერვალში ავადმყოფთა რიცხვში არიან კავკავიდან ჩამოსული ბალშევიკებიც. ამრიგათ, ავადმყოფობა უკანასკნელ დროს ცოტათ თუ ბევრად შემცირდა.

ქალაქის თავის ამხანაგი კონიევი მოახსენებს აკეთებს მოკლე ვადიანი სესხის შესახებ. გამგეობამ მიმართა საკრედიტო დაწესებულებებს 1 მილიონ 500,000 მანეთის სესხისათვის 8 თვის ვადით, რადგანაც ეს ფული აუცილებელი იყო ქალაქის საჭიროებისათვის. საკრედიტო დაწესებულება დაგვთანხმდა სესხის გადებაზე, მხოლოდ მოგვთხოვა, რომ მთავრობას მიეცა მისთვის გარანტია და ვექსილები მიღო სახელმწიფო ბანკს. მთავრობა დათანხმდა ამ პირობებზე და ჩვენც ეს ფული უნდა მივიღოთ სესხად.

ახალნიძე წინადადებას იძლევა სესხი აღებულ იქნას, ვინაიდან ქალაქის ფინანსური მდგომარეობა ძლიერ ცუდ პირობებშია.

კონიევი მოითხოვს არ დაუცადონ ტურნალის მომავალ სხდომაზე დამტკიცებას და დადგენილება სესხის აღების შესახებ დღესვე შევიდეს ძალაში. საბჭომ კონიევის წინადადება უკამათოდ მიიღო.

თავმჯდომარე კითხულობს გადამდებ სენიანთა ბარაკებში მოსამსახურეთა განცხადებას, რომლითაც ექიმები ულტიმატუმს უყენებენ ქალაქს და თუ მოსამსახურეთა მოთხოვნილებები არ იქნა დაკმაყოფილებული, გაფრცვივთ იმუშავრებიან. განცხადებაში სხვათა შორის აწერილია ავათმყოფთა ცუდი მდგომარეობა. ნათქვამია, რომ სავადმყოფოებს ნავთი არა აქვთ, სურსათს არ აძლევენ და სხ.

ივ. გომართელი. ქალაქის ექიმების განცხადებამ მე გულის ტკივილი მაგრძნობინა, ვინაიდან რევოლიუციის დროს ექიმები ყოველგან ღირსეულად ემსახურებოდნენ დემოკრატიას და იცავდენ რევოლიუციის მონაპოვარს; აქ კი ექიმების ერთი ნაწილი ვერ იცავს დემოკრატიის ინტერესებს და ხალხის სისხლით შეძენილ რევოლიუციის მონაპოვარს. ჩვენი ქვეყანა დამოუკიდებელ რესპუბლიკას წარმოადგენს და თამამათ შეიძლება ითქვას, რომ არსად არ განხორციელებულა რევოლიუციის მონაპოვარი ისე, როგორც საქართველოში. თუ მივიღებთ მხედველობაში იმას, რომ ჩვენ მუშაობა რევოლიუციის დროს გვიხდება, როცა მოწყვეტილი ვართ ყოველივე კავშირს სხვა სახელმწიფოებთან, რომ ჩვენ ეკონომიურათ დიდ გაჭირვებას განვიცდით—უნდა ვალვიაროთ, რომ ყოველი მოქალაქე ვალდებულია დემოკრატიას და საქართველოს დამოუკიდებლობას დახმარება აღმოუჩინოს. ჩვენ მოველოდით, რომ ყველა ისინი, ვისაც თვითმართველობასთან რაიმე კავშირი აქვთ—დახმარებას აღმოუჩენდნენ მას მუშაობაში და ეს უპირველეს ყოვლისა ექიმებს უნდა ექნათ. ექიმები, როგორც განცხადებაშია აღნიშნული, სამსახურიდან კოლექტიური გასვლის მოტივით ავათმყოფების ცუდ მდგომარეობას ასახელებენ. თუ ეს ასეა, მართლაც მაშინ მათ ჩვენთვის უნდა მოემართათ და შეეტყობინებინათ ავათმყოფების მდგომარეობა, მაგრამ მე მგონია და დარწმუნებულიცა ვარ, რომ ეს საქმის გადატრიალებაა. უწინდელ მოთხოვნილებაში სრულიადაც არ იყო ავათმყოფების მდგომარეობა ნახსენები, იქ მხოლოდ გეზეუქრებოდნენ.

მე შეგვრიგდებოდი დაბალ მოსამსახურეთა გაფიცვებს, თუმცა ამასაც არ უნდა ჰქონდეს ადგილი დემოკრატიულ რესპუბლიკაში, მაგრამ ექიმებს ყოველთვის შეუძლიანთ ლუკმა პურის შოვნა და ამიტომ მათი გაფიცვები გასაკვირია. ბარაკის ექიმების უწინდელ მოთხოვნილებაში მუქარა იყო, აქაც ულტიმატუმი წარმოდგენილი. დემოკრატიულმა დაწესებულებამ უნდა მოსპოს ყოველგვარი ულტიმატუმები, ვისგანაც არ უნდა იყოს ის. ყველას უფლება აქვს თხოვნით მომართვის, მაგრამ ყოველგვარი ულტიმატუმები უნდა ამოფხვრას. ამ განცხადებაში ლაპარაკია ნავთის და სხვა საჭირო სანოვაგეების ნაკლებობაზე, ასეთი მდგომარეობა სხვაგანაც იყო, მაგრამ ასეთი აურზაური არ აუტეხია, რადგანაც ყველა ხედავდა, რომ არავითარი საშველები არ იყო. მხოლოდ სანოვაგის მიღების შემდეგ ყველა დაკმაყოფილებულ იქნა. მართალია, საავათმყოფოს მდგომარეობა აწეწილ-დ წეწილია, მაგრამ დარწმუნებული უნდა იყოს ყველა, რომ თვითმართველობა არცერთ დაწესებულებას არ დასტოვებს უყურადღებოდ—რევიზია არცერთს არ აცდება. მაგრამ უნდა აღვნიშნოთ, რომ საავათმყოფოს ასეთი მდგომარეობა იმითაც აიხსნება, რომ ექიმები ვერ ასრულებენ თავიანთ მოვალეობას.

მე ვაცხადებ სოციალ-დემოკრატიულ ფრაქციის სახელით, რომ დაინიშნოს კომისია, რომელიც გამოარკვევს, თუ რა მდგომარეობაშია საავათმყოფოს საქმეები. თუ გავითვალისწინებთ დღევანდელ მდგომარეობას, ეპიდემიის მსვლელობას და სხვას, ჩვენ უნდა აღვიაროთ, რომ მათი ულტიმატუმი გასაკიცხია.

ბესელიძე. წარსულ სხდომაზე საბჭომ მიიღო ფინანსიური კომისიის დადგენილება მათი ჯამაგირების მომატების შესახებ. სამშაბათს ჩვენ მივიღეთ განცხადება, რომ, ვინაიდან მათი მოთხოვნილება დაკმაყოფილებული არ იქნა ისინი კოლექტიურათ სტოვებენ სამსახურს და იტოვებენ მხოლოდ იმდენ მოსამსახურეებს, რამდენიც აუცილებელი საჭიროა ავათმყოფთა მოსავლელათ. პარასკევიდან კი ავათმყოფების მიღება შეწყდებაო. ჩვენ მივმართეთ კავშირთა კავშირს და შრომის კომისარს, რომ მათ მიეღოთ ზომები ამ საქმის მოსაწესრიგებლათ. ხუთშაბათს დილით ამ ორგანიზაციის წარმომადგენელნი დაესწრენ კრებას, მაგრამ იქ სრული შეთანხმება ვერ მოხერხდა. პარასკევს დილით ავადმყოფთა მიღება შეწყვეტილ იქნა. კავშირთა კავშირისა და შრომის კომისარის წარმომადგენელნი მათ ხელმეორეთ მოელაპარაკენ და მიღებულ იქნა, რომ ეს საკითხი გადასცემოდა კომისიას, რის შემდეგ ავადმყოფთა მიღება განახლდა. ასე რომ, მუშაობა 5—6 საათს იყო მხოლოდ შეწყვეტილი.

ის აღნიშნავს, რომ საავადმყოფოსათვის ყოველდღე 25 ფუთი ხორცია გადადებული, ნავთი, მას შემდეგ, რაც ბაქოდან მიღება განახლდა, საავადმყოფოს არ მოკლებია. მაშინ, როდესაც საავადმყოფოს მდგომარეობა მართლაც ცუდ პირობებში იყო, ექიმებს არაფერი არ უთქვამთ და თუ დღეს მართლა ავადმყოფების მდგომარეობა ალაპარაკებს მათ, განა მათი წასვლა არ გაუარესებს ავადმყოფების მდგომარეობას? ერთმა ექიმმა მე განმიცხადა—თუ საშველები არა გაქვთ დაკეტეთ ბარაკებიო; მე მგონია, რომ ეს ნათლათ ახასიათებს მათ და ასეთ განცხადების შემდეგ აშკარაა თუ ვისთან გვაქვს საქმე.

ნ. ელიავა. მე უნდა განვაცხადო, რომ უწინ უფროსი ექიმები შემოდიოდნენ განცხადებით თუ რა აკლდა საავათმყოფოს და ჩვენ შეძლების და გვარად ვაკმაყოფილებდით მათ მოთხოვნილებას. კოლექტიურ განცხადებას კი არა სოდეს არ ჰქონია ადგილი. მე ვაცხადებ, რომ ეს განცხადება, თითქოს ისინი საავათმყოფოს ცუდი მდგომარეობის გამო სტოვებდენ სამსახურს, მხოლოდ თვალის ასახვევია. უწინ ჩვენ ისინი გვევაჭრებოდენ და არასოდეს თავისი მზრუნველობის ყურადღება ავათმყოფებისაკენ არ გადაუტანიათ. ისინი თანახმა არიან ბარაკების დაკეტვაზე და არ გველაპარაკებიან გვერდში ამოგიდგებით საერთო საქმის გაკეთებაშიო. თფილისის მდგომარეობას, თუნდაც ეპიდემიის გავრცელების მხრივ, ნახევარი სახელმწიფოებრივი მნიშვნელობა აქვს და ჩვენ არავის ნებას არ მივცემთ ჩვენს დემოკრატიას, ჩვენს რესპუბლიკას ენება მიაყენოს. მე მგონია, საქართველოს დემოკრატია და მთავრობა შეებრძოლება მათ, ვინც მოინდომებს ჩვენს რესპუბლიკას ასეთი დიდი ზიანი მიაყენოს. მე ღრმად ვარ დარწმუნებული, რომ იმათ ინტერესებთ თავიანთი ჯიბე და არა ავათმყოფების მდგომარეობა. (ტაში).

არსენიძე წინადადებას იძლევა აირჩეს სპეციალური კომისია 5 კაცისაგან შემდგარი და გამოარკვიოს საავათმყოფოებში მართლა აქვს ასეთ მოვლენებს ადგილი თუ არა. კომისია ხვალიდანვე შეუდგება საავადმყოფოების ყოველმხრივი რევიზიას.

საბჭომ არსენიძის წინადადება მიიღო. არჩეულ იქნენ: ი. გომართელი, კ. გოგუა, ბადრიძე, ს. მდივანი და პ. გოთუა.

ამის შემდეგ საბჭომ დაადგინა თუ როდისა ხდებოდეს ჩაბჭოს ჩვეულებრივი კრებები.

საბჭომ ქალაქის მომრიგებელ მოსამართლეთ აირჩია ალ. მირაბოვი. საპატიო მოსამართლეებათ: გ. კონიევი, ი. გომართელი, ალ. ფარნიევი, ექვთ. თამაიშვილი, გ. ლასხიშვილი, გ. თუმანოვი, ა. ჭიაბრიშვილი, ტერპარსეგოვი მაზვილაძე, კ. აფხაზი, ალ. ნაცვლიშვილი, ს. ფარცხალაძე.

ქალაქის გამგეობის წევრების არჩევნები არსენიძის წინადადებით ქალაქის თავის ჩამოსვლამდის გადაიდო.

სახალხო სახლის გამგე კომისიაში არჩეულ იქნენ: სალარაშვილი, ნ. რუსია და გ. ლასხიშვილი.

სატყეო-საბალოსნო კომისიაში მე 8 წევრად არჩეულ იქნა დ. ჩადუნელი.

შეფასებითი უწყებით კომისიაში ჩომახიძე.

დაპრილთა დამხმარე კომისიაში: ნ. ვეფხვაძე, მ. ტოროშელიძე და კ. ქავთარაძე.

მეშვარცხენე სოციალ-ფედერალისტთა განცხადებაზე, რომ მათ ადგილი დაეთმოთ კომისიებში, საბჭომ დაადგინა, რადგანაც ხელახლად არჩევნებს ვერ დაუბრუნდება, ამიტომ მათ უფლება ეძლევათ თუ სურვილს გამოსთქვამენ ისე იმუშაონ.

1919 წლის 16 მარტში მოწვეულ ქალაქთა ყრილობაზე ქალაქის წარმომადგენლებათ არჩეულ იქნენ: სოც-დემოკრატიულ ფრაქციიდან: ბ. ჩხიკვიშვილი, ი. გომართელი, დ. თოფურიძე; სოც.-ფედ.—არ. ჯაჯანაშვილი; ნაც.-დემ.—გ. ბერაბაძე.

1919 წლის სატრაქტირო გადასახადების შესახებ მოხსენებას აკეთებს ქალ. თავის ამხანაგი კონიევი. ის აღნიშნავს იმ თანხას, რომელიც შემოდიოდა 1917 წელს და 1918 წელს ამ გადასახადებისაგან და ხახს უსვამს, რომ 1918 წელს გადასახადები ფულის კურსის დაცემის გამო გაიზარდა. აღნიშნავს აგრეთვე, თუ როგორ გაიზარდა რესტორანების რიცხვი. მომხსენებელი მოითხოვს, რომ გადასახადები გაორკეცებულ იქნას.

არსენიძე. ჩვენ ამ გადაწყვეტილების მიღებას გვაძლევს ის გარემოება, რომ ქალაქს დეფიციტი მოელის. ჩვენ უნდა ამოვწუროთ ყველა ის წყაროები, საიდანაც გადასახადის შემოსავალი შესაძლებელი იქნება. ჩვენ კიდევ ვერ მოვთხოვთ მთავრობას სესხს, ეს არევ დარევას შეიტანს ჩვენს რესპუბლიკაში, ვინაიდან მთავრობამ ზედმეტად უნდა მოსჩვრას ის ფული, რომელსაც ჩვენ მოგვცემს. ამიტომ საჭიროა ქალაქმა თავისი თავი არჩინოს. ქალაქში ბევრია მცხოვრები. დაქნები მუდამ სავსეა და ვაჭრებს არ გაუჭირდებათ ამ ფულის გადახდა. მე მგონია საჭიროა მიღებულ იქნას ის გადაწყვეტილება, რომელიც კომისიამ დაადგინა. ამასთანავე სხვა ვაჭრებიც უნდა გავათანასწოროთ მეტრაქტირეებთან გადასახადში. მეტრაქტირეთა წარმომადგენელნი მოითხოვენ სხვა ვაჭრებთან გათანასწორებას და ღვინით ვაჭრობის ნებართვას. საბჭომ დაადგინა ეს საკითხი გადაეცეს საფინანსო საბიუჯეტო კომისიას.

ამის შემდეგ საბჭომ განიხილა ზოგიერთი წვრილმანი საკითხები და სხდომა დაიხურა 11 საათზე.

დ. ბ.

ᲛᲔᲣᲠᲜᲔᲗᲘᲡ ᲞᲠᲔᲡᲑᲐ

(წერილი გორიდან)

გორის მაზრის მეურნეთა კრება, რომელიც მოწვეული იყო სამაზრო ერობის ინიციატივით, შესდგა 19 თებერვალს. კრება გახსნა ერობის თავჯდომარემ მ. ახალაძემ და მიმართა კრებას მოკლე სიტყვით, რომელშიაც გაარკვია, თუ რა დიადი მნიშვნელობა აქვს მეურნეობის აყვავებისათვის თვით მეურნეთა აქტივობის და გამჭრიახობის გამოჩენას ამ საქმეში.

ამ მიზნით ერობას სურს თავი მოუყაროს ყველა ძალებს ტ შეერთებული ძალონით გააკეთოს მაზრაში, რაც შეიძლება მეტი საქმე. წამოყენებული იქნება საკითხები: მაზრის დაყოფა სამეურნეო უბნებათ, მეურნეობის მდგომარეობა მაზრაში, გორის სამეურნეო საზოგადოება და ერობა, სამეურნეო იარაღების მიწოდება მეურნეთათვის და სხვა.

უნდა აღინიშნოს ერთი ფრიად სამწუხარო მოვლენა. კრებაზე სრულებით არა ჩანდნენ ჩვენი აგრონომები, მიუხედავათ იმისა, რომ ბევრს მათგანს განსაკუთრებული მოწვევის ბარათებიც მიუვიდათ.

მოხსენებას პირველ საკითხზე აკეთებს **შაქრო ჯავახიშვილი.** ძველ წყობილობის დროს მაზრა იყო დაყოფილი 7—9 ნაწილათ, ძველ დროს მოქმედ ბიუროკრატიულ წეს-რიგის წყალობით აგრონომი ვერაფერს სახარბიელოს მაზრისთვის ვერ აკეთებდა. მომხსენებლის აზრით პირველ ხანებში მაინც გორის მაზრა უნდა დაიყოს ორ დიდ სამეურნეო ნაწილათ, მტკვრის გაღმა ნაწილი და გამოღმა; პირველში უფრო ეგუება კურკოვანი მცენარეულობა და მეღვინეობა, მეორე კი—მეხილეობისათვის და მებოსტნეობისათვის არის კარგი.

ეს არის ორი თავი და თავი ნაწილები; უფრო დაწვრილებით თუ შევხედავთ მაზრა კიდევ უნდა დაიყოს ორ დიდ გეოგრაფიულ ნაწილებათ ზემო და ქვემო ქართლი. ზემო ქართლში, გომის რაიონში ხვნა თე ვის აქვს ალაგი; სამაჩაბლოში, საციციანოში და საერთოთ უფრო მთებისკენ საქონლის მოშენების ალაგია.

აქვე მომხსენებელმა წარმოადგინა ვრცელი გეგმა და მოსაზრება მაზრის სამეურნეო დაყოფისა.

იოსებ გულიხანოვი გამოსთქვამს აზრს, რომ დიდი მნიშვნელობა აქვს ჩვენი მეურნეობისთვის ადგილობრივ მომუშავე მეურნეს; ამათ ხელმძღვანელობა უნდათ, რასაც ჩვენ ადგილობრივი მომუშ. მოკლებულნი ვართ. ზოგიერთი ადგილობრივი პრაქტიკა მაზრის აგრონომისათვის უსასყიდლო ინსტრუქტორობასაც გასწევს.

ალექ. ქარუმიძის აზრით მომხსენებლის გაყოფა არ შეეფერება ჩვენს მეურნეობას; საჭიროა მაზრა გაიყოს ასე: მეხილეობა-მებოსტნეობა ლიახვის მხარეებში. ხვნა თესვის რაიონი: დედოფლის წყარო და ტირიფონის ველი. მეღვინეობა მევენახეობას მაინც და მაინც ქართლში დიდი მომავალი არა აქვს. ზემო აღნიშნულ ორ დარგს უნდა მიექცეს უმთავრესი ყურადღება. ამ ორ რაიონს: დედოფლის და ტირიფონის მინდვრებს ესაჭიროება უსათუოთ არხები მოსარწყავათ; ამას ექნება საზელმწიფოებრივი მნიშვნელობა.

მ. დიასამიძე უჭერს მხარს სპეციალიზაციაციას დარგებში და ამისდა მიხედვით მაზრის დაყოფასაც.

არაგიაშვილი სავსებით იზიარებს მომხსენებლის აზრს.

ერობის გამგეობის თავმჯდომარე **ახალაძე** აუწყებს დაწვრილებით საკითხს და ეყრდნობა იმ დებულებას, რომ მაზრაში ორი დიდი დარგია გავრცელებული და თვალსაჩინო: მეხილეობა და ხვნა თესვა. ამისდა მიხედვით მაზრა უნდა დაიყოს რაიონებათ სხვადასხვა მოსაზრებით: ბუნებრივი ხელოვნების მიხედვით და მეურნეობის ამა თუ იმ დარგის უპირატესობის შეწონვით. აზრთა გაცვლა-გამოცვლის შემდეგ კრების უმრავლესობამ მიღო მომხსენებლის წარმოდგენილი გეგმა მაზრის დაყოფისა. ამის შემდეგ გამოდიან სხვადასხვა მომხსენებლები მეურნეობის სხვადასხვა დარგებზე.

არ შეიძლება ყურადღება არ მივაქციოთ ღრმათ დასაბუთებულ ვრცელ მოხსენებას **ალ. ქარუმიძისას,** ხვნა-თესვაზე.

ქარუმიძეს მოჰყავს დაწვრილებით ცნობები იმის შესახებ, თუ კარგი ამინდია რა მოსავალი შეიძლება მოვიდეს ტირიფონის ველზე; გვაღვიან წელიწადში კი საშინლად მცირდება ეს მოსავალი; ამის გამო ჩერდება იმ აზრზე, რომ ეს ველი მოირწყვის არხით; მოყავს ისტორიული ცნობა ამ იდეის განვითარებისა; ერთგვარი ხარჯ-ალრიცხვა; გამოჰყავს ის დასკვნა, რომ ყირილობამ დაადგინოს ერობამ ხელი შეუწყოს ამ არხის გაყვანას; დაწვრილებით მოხსენებაშია დებულებები აღნუსხული.

ხოხო ედილაშვილის აზრით საჭიროა პურის მოსავლის გაუმჯობესობა; ეს შესაძლოა ხელოვნური სასუქით და ამასთანავე მიწები აუცილებლივ დამუშავებული უნდა იქნენ გაუმჯობესებული სამეურნეო მანქანებით.

დ. დიასამიძე აგრონომებმა უნდა მიაქცონ ყურადღება იმას, თუ რომელ რაიონში რაგვარი გუთნები ივარგებს; ამასთანავე გუთნების სახნის-საკეთები ადარ არის სოფლათ; სათესი მანქანების შემოღება აუცილებლათ საჭიროა, ამ მანქანების საშუალებით ერთი მხრივ შემცირდება თესლის რაოდენობა საგრძნობლათ, მეორე მხრივ მოსავალიც უფრო უკეთესია. ეს ჩვენ გამოცდილობით ვიცით მრავალი წლისა.

ახალაძე. ჩვენებური ხვნა-თესვა ძლიერ ჩამორჩენილია; საჭიროა გაუმჯობესებული იარაღი, დამუშავების ახალი წესი რაც შეიძლება დაჩქარებით უნდა იქნეს შემოღებული. მანქანების გამოცდა მაზრის სხვადასხვა ალაგას, საცდელი მინდვრების დაარსება, მცხოვრებელთა დაინტერესება გაუმჯობესებულ მეურნეობაში. ამით თანდათან გადავა ხალხი ახალ წეს-რიგზე. ხელოვნურ სასუქს ცოდნა უნდა მოსახმარათ; პირველ შეძლების უმალ უნდა შემოღებულ იქნეს მორწყვა ურწყავ ალაგებისა, ეს ხსნაა მეურნეობისა. ამ მხრივ კერძო პირთა ინიციატივა ხალხისგან ხელშეწყობილი უნდა იქნეს. ამასთანავე ერობა ეცდება ტირიფონის არხის გაყვანაზე იმ თანხიდან, რომელიც საფონდო მიწებს შეხვდება წილად.

მებაღეობა-მევენახეობაზე მოახსენებს აკეთებს **იოსებ ედილაშვილი.** მომხსენებელი ამტკიცებს, რომ ჩვენ მაზრაში შესაძლებელია მევენახეობის კულტურაც რიგიან ნიადაგზე დავაყენოთ; ეს მაღლა ასწევს მხარეს ქონებრივათ და დიდი შემოსავლის წყაროც იქნება. აგრეთვე ლამიანი ნიადაგი ხელს უწყობს მაზრაში ბაღების გავრცელებასაც; ევროპიელი ჯიშები შესანიშნავ ნაყოფს იძლევიან. მართალია თეთრმა კალვინმა ბევრი შეაშინა თავის უნაყოფობით, მაგრამ ეს უცოდინარობის და უწამლობის შედეგია; იმის შემდეგ რაც ჩვენ რაციონალური წამლობა დავიწყეთ ზოგიერთ ბაღებში, დიდი გაუმჯობესობა მავიღეთ. ამიტომ მევენახეობას და მეხილეობა მებოსტნეობას დიდი ყურადღება უნდა მიექცეს გორის მაზრაში.

გორთამაშვილი. მე მოვაგონებ კრებას, რომ მაზრაში იყო ორი ინ ტრუქტორი მევენახეობისა, მათ ერთგვარი გამოკვლევები აქვთ მთელ მაზრაში; ეს კომიტეტები შეიძლება მოისმინოს, ამიტომ ერობა უნდა ეცადოს ამ მასალების ხელში ჩაგდებას.

ახალაძე. უმთავრესი ყურადღება უნდა მიექცეს ჯიშების ცდას, როგორც ხილის, ისე ვაზის. ამ მიზნით სხვადასხვა ალაგას საჭირო იქნება საცდელი მინდვრები. წამლობას დიდი ყურადღება უნდა მიექცეს; შესწავლა ამ დარგებისა ყოველ მხრივ უნდა მოხდეს: ბაჩა ხეხილი თუ მალალ ტანიანი ხეები ეს სადავო საკითხია; ერთიც და მეორეც უფრო შესაფერია ჩვენი ქვეყნისთვის. ყველა ეს დებულებები მიღებულ იქნა.

მეფუტკრეობაზე მოხსენებას აკეთებს **დ. დიასამიძე.** ძრიელ ცოტა ყურადღებას აქცევენ ამ დარგს, ამ დარგის განსავითარებლათ საჭიროა გაიყოს ორ ნაწილათ. ზემო და ქვემო ქართლი, პირველში უფრო ნაკლები ხარისხისაა თაფლი, ვინაიდან იქ მთიანი ალაგია და თოვლი იცის; უფრო კარგი ღირსებისაა ქვემო ქართლის თაფლი. თანდათან მეფუტკრეები გადადიან უბრალო სკებიდან ჩარჩოიან სკებზედ, რომლებშიც ყურადღების ღირსია დოდინის. ამან თავის ნაყოფი გამოიღო. გამოცდილობით გიტყვით, რომ მე ჩემს სეფუტკრეში შემოსავალი მაქვს სკაზე 32 გირვანქა თაფლი. გამოცდილობაშივე მიჩვენა, რომ საჭიროა მძლავრი და ღონიერი სკების ყოლა და მეფუტკრე არ უნდა გაიტაცოს ერთი სკიდამ მრავალი ნაყარის გამრავლებამ ყველა სკებში დოდან ბლატის სისტემა უფრო სასურველია ჩვენი მხარისათვის.

მებოსტნეობაზე მოხსენებას აკეთებს **გორთამაშვილი.** იმის აზრით ჯერ ეხლა, როდესაც ეს დარგი მეურნეობისა ეს, პირველ ყოფილ მდგომარეობაშია, მაზრიდან გადის ნახ. მილიონამდე ფუთი მარტო კომბოსტო. საჭიროა სხვა დარგებთან ერთად ამ დარგსაც ჯეროვანი ყურადღება მიექცეს. თესლის მიწოდება მცხოვრებთ და სხვა რიგ დარიგებას ერობისაგან მაზრა სულის დგმასავით მოელის. კარგი იქნება მიწოდებითაც მიმართავდეს ერობა მეურნეებს თესლეულობას მოყვანის შესახებ. ამ ჟამათ კი სათესლეთ ორი ვაგონი მაინც დასჭირდება კართოფილი მაზრას. კრებამ გეითვალისწინა აგრეთვე მაზრაში გავრცელებული საქონლის ჭირი და მასთან ბრძოლის საშუალებანი. უკამათოთ ილებენ ახალაძის წინადადებას გაეგზავნოს ქუთაისის სადგურს შრატის დასამზადებლათ რამდენიმე სული საქონელი.

სამეურნეო იარაღის დარიგება მიწოდებას სოფლათ, კრებამ სასურველათ სცნო თავის დროზე მიიქციოს ყურადღება ერობამ, მიაწოდოს სოფელს საჭირო იარაღი და მიზან-შეწონილათ გაანაწილოს გამოწერილი მანქანები.

სამეურნეო საზოგადოება და ერობა. ამის შესახებ მოკლე მოხსენებას აკეთებს **შაქრო ჯავახიშვილი.** ეს საზოგადოება დაარსდა დიდის ზეიმით. პირველ ხანებში დიდი სარგებლობა მოჰქონდა მცხოვრებთათვის და დღეს სულ მთლათ მიეყენებულია. შიგ გაბატონებულია უმთავრესათ მოვაჭრენი, რომელნიც მთავარ ყურადღებას აქცევენ კრუპა-საპნის მოტანა-გაყიდვას და არა სამეურნეო იარაღებს საწამლავ მასალებს. კრება გამოსთქვამს სურვილს ეს საზოგადოება დადგეს თავის სიმაღლეზე და შეუწყოს ხელი მეურნეობას, თესლეულობით, წამლებით, წიგნაკებით და სხვა. დაეკალოს შაქრო ჯავახიშვილს მოიწვიოს ამ საზოგადოების კრება და შეატყობინოს რაც შეიძლება ბევრს მეურნეებს დღე და ალაგი კრებისა.

კრების მდივანი პ. ეფრემიძე.

ᲥᲐᲚᲐᲥᲘᲡ ᲙᲝᲝᲞᲔᲠᲐᲢᲘᲕᲗᲐ ᲙᲐᲕᲨᲘᲠᲘ ᲓᲐ ᲨᲐᲥᲐᲠᲘ

გასულ წელს თფილისის ქალაქის გამგეობამ გადასცა ქალაქის კოოპერატივთა კავშირს ყველა თავისი დუქნები და დასდო მასთან ხელშეკრულება, რომლის ძალით ყველა სურსათი მცხოვრებლებზე გასანაწილებლად უნდა გადაეცემოდა კოოპერატივთა კავშირს.

სხვათა შორის, კავშირს გადაეცა დასარიგებლად შაქარიც.

ქალაქის გამგეობა ფიქრობდა, რომ კოოპერატივები თავიანთი მოწყობილი აპარატით შესძლებდენ სურსათის უფრო რაციონალურათ და თავის დროზე დარიგებას, ვიდრე ქალაქის დუქნები.

მაგრამ, სამწუხაროდ, კოოპერატივებმა ვერ გაამართლეს ეს იმედი.

ნოემბრის და დეკემბრის შაქარი ჯერაც არაა სავსებით დარიგებული, მიუხედავად იმისა, რომ კოოპერატივთა კავშირმა ამ თვეების საჭირო შაქარი კი ხანია წაიღეს და ისიც ნისიათ.

იანვრის შაქარი მხოლოდ ეხლა რიგდება.

ხალხი აღელვებულია, თუ რათ არ აძლევდენ ამდენ ხანს ამ შაქარს.

მიზეზი კი ისაა, რომ კავშირმა არ გადუხადა ქალაქს წაღებული შაქრის ვალი, რომელიც თითქმის 800,000 მანეთს უდრიდა.

არა თუ ვალი, კავშირმა არ მოინდომა, რომ ნაღდ ფულზე წაეღო მაინც იანვრის შაქარი.

ქალაქს კი არ შეეძლო კიდევ ჩაეყარა კავშირის ხელში შაქარი ნისიათ. იყო გამართული მოლაპარაკება. ქალაქის თავის ამხანაგმა ამ დღეებში გამოიწვია კიდეც კავშირის წარმომადგენლები და მისცა წინადადება ძველი ვალი ნაწილ-ნაწილათ მაინც შემოეტანათ, ხოლო იანვრის შაქარი კი ნაღდ ფულზე გადეტანათ ცენტრალურ სასურსათო საბჭოსგან. ეს შაქარი ეხლა უკვე შეუდგა ქალაქის თვითმმართველობა კოოპერატივების დაუხმარებლად.

შაქარი ეძლევა რაიონულ და სახლის კომიტეტებს ქალაქის საწყობებიდან. ესენი კი მოვალენი არიან დაარიგონ შაქარი ხალხში.

სახლის კომიტეტები და რაიონული კომიტეტები მიიღებენ შაქარს სასურსათო განყოფილებისაგან თანახმათ წარმოდგენილი ბარათებისა.

ამ გზისთვის უნდა მიემართა ქალაქს მაშინვე, როცა გამოირკვა, რომ კოოპერატივთა კავშირი აპირებდა შაქრის დარიგების საქმეს. მაგრამ ქალაქი არ კარგავდა იმედს, ფიქრობდა კოოპერატივები გაამართლებდნენ ნდობას და შესძლებდნენ მცხოვრებთა თავის დროზე დაკმაყოფილებას.

შეცდომა ჩაიდინა ქალაქმა მაშინ, როცა მთელი თავისი განმანაწილებელი აპარატი გადასცა ქალაქის კოოპერატივთა კავშირს.

ის სურსათი, რომელიც უნდა თანაბრათ და გაზომილათ განაწილდეს მცხოვრებლებზე, თვითონ ქალაქმა უნდა განაწილოს.

არ შეიძლება ეს საქმე მიენდოს სხვა დაწესებულებებს. ამ შემთხვევაში კოოპერატივთა კავშირი, რომელმაც მილიონი ფული გაუფლანგა ქალაქის დაცალიერებულ კასას და ხალხიც უშაქროთ უხერხულ პირობებში ჩააყენეს მათ.

დღეს ცენტრალური სასურსათო საბჭო ატყობინებს ქალაქის გამგეობის სასურსათო განყოფილებას, რომ სულ 5 ათასი ფუთი შაქრის მიცემა შეუძლია ქალაქისთვის, რადგან მეტი შაქარი არაა. ქალაქს კი თვეში 11 ათას ფუთზე მეტი შაქარი ესაჭიროება.

მე დარწმუნებული ვარ, რომ კოოპერატივთა კავშირს არ შეეფერებია საქმე და თავის დროზე შემოეტანა ფული, ქალაქი თავის დროზე მეტ შაქარს მიიღებდა. დღეს კი ალბათ ცენტრალურ სასურსათო საბჭოსგან ეს შაქარი წავიდა იმ ადგილებში, საიდანაც თავის დროზე შემოჰქონდათ ფული.

დადებული ხელშეკრულობა უკვე დარღვია კოოპერატივთა კავშირმა იმით, რომ ვერ შეასრულა დაპირებანი.

ამიტომ, ჩვენ ვფიქრობთ, საჭიროა, კოოპერატივების კავშირს ძალდატანე-

ბით გადაბდეს ვალები და ჩამოერთვას ქალაქს დუქნების მთელი ის ინვენტარი, რომელიც რამდენიმე ათასი მანეთი ღირს და ხელში აქვს კავშირს. შაქარი კი უნდა დაურიგოს ხალხს თვით ქალაქმა. კერძო შემთხვევებში შეიძლება კავშირის დაპერა მხოლოდ იმ კოოპერატივებთან, რომლებიც ასე თუ ისე დგანან თავიანთ სიმაღლეზე, მაგალ., „ადორძინება“ და სხვა.

საბჭოდო კოოპერატივებს თვით ქალაქმა უნდა მისცეს დასარიგებლად საწოვაგე ნაღდ ფულზე.

გარდა ამისა, შაქარი და სხვა საჭიროებენ უნდა მიეცეს პირდაპირ სახლის და რაიონების კომიტეტებს.

სხვა რომ არ იყოს, ამ გზით გავამაგრებდით კიდეც სახლის ორგანიზაციებს, რომელთა შექმნაზე ერთხელ ქალაქმა ბლომათ ფულებიც კი დახარჯა.

ეს ორგანიზაციები მხოლოდ მაშინ შეიძლება იყვნენ მტკიცენი, როცა მათ რაიმე საჭირო ეძლევათ დასარიგებლათ.

შარშან ეს ორგანიზაციები სასურსათო საქმის გარდა ასრულებდნენ სხვა ფუნქციებსაც, მაგალ. ეზოების სანიტარული მხრით კარგათ დაყენება, საპიდემიო ფონდისთვის ფულის შეკრება და სხვა.

ეს საკითხები დღეს სდგას მწვავეთ და რამდენათმე ამ საქმეში ქალაქისთვის დახმარების გაწევა შეუძლიათ სახლის ორგანიზაციებს.

გარდა ამისა, ჩვენ კარზე გვიდგას დიდი სასურსათო კრიზისი. თითქმის სავსებით შესწყდა სანოვაგის შემოტანა ჩვენში. და შესაძლებელია წლევანდელი კრიზისი უფრო მწვავე იქმნეს, ვიდრე ეს იყო შარშან.

ამიტომ ის აპარატი, რომელიც შექმნა ქალაქმა კრიზისის ხანაში, ჯერჯერობით კიდევ საჭიროა.

ქალაქი ვერ მოიშორებს თავიდან სურსათის მხრით მცხოვრებლებზე მზრუნველობას და ეს საქმე მან კიდევაც უნდა დააყენოს შესაფერ ნიადაგზე.

არჩილ რუხაძე.

ს.-დემ. პარტიაში

თფილისი. 2 მარტს მე-2 კომერციულ სასწავლებელში შესდგა ჩუღურეთის მცირე კოლექტივის წევრთა საერთო კრება: დაესწრო 27 კაცი. კრების თავმჯდომარეთ არჩეულ იქნა ამხ. გურასპაშვილი, მდივნად აირჩეს ბ. ალვა გოგმართელი. დღიურ წესრიგს შემდეგი კითხვები შეადგენდნენ: 1) პრეზიდიუმის მოხსენება, 2) სახალხო უნივერსიტეტის ქართული განყოფილების გახსნა, 3) ორგანიზაციული მუშაობა, 4) უმწეო მდგომარეობაში მყოფ ამხანაგების დახმარება და 5) ამხ. რომანოვის პრეზიდიუმიდან გარიცხვა.

პრეზიდიუმის სახელით მოხსენება გააკეთა ამხანაგმა ტალახაძემ.

მოხსენებელმა მოკლეთ გააცნო კრებას იმ კომისიის მუშაობა, რომელიც წასულ კრებაზე იქნა არჩეული ბინის საკითხის მოსაწესრიგებლად. უნახავთ ერთი შენობა, რომელიც თავისუფალია და ეკუთვნის ნიკოლოზის ეკლესიის საძრეველო საბჭოს. საბჭო შეიკრიბება, ამ კრებას ჩვენი ერთი წარმომადგენელიც დაესწრება და იმ კრებაზე გადაწყდება დაგვთმობენ შენობას თუ არაო. სახალხო უნივერსიტეტის დაარსების შესახებ მოხსენება გააკეთა ამხ. ს. ყორეოლიანმა. მომხსენებელი ვრცლად შეეხო სახალხო უნივერსიტეტის მნიშვნელობას, თუ როგორი როლი შეასრულა სახ. უნ. დასავლეთ ევროპაში, რა მნიშვნელობა აქვს სახალხო უნივერსიტეტს მუშა ხალხისთვის, რად დამარცხდა რევოლუცია რუსეთში და სხვა.

ამხ. ყორეოლიანის მოხსენების შემდეგ აირჩა სამი ამხანაგი: იაშვილი, გურასპაშვილი და ოტრევი. პირველი მათგანი ლექტორთა სექციის წევრად ჩუღურეთის რაიონიდან, ხოლო დანარჩენი ორი ლექციების მოსმენებად.

ამის შემდეგ კრებამ დაამტკიცა ერთი წევრის (რომანოვის) პრეზიდიუმიდან გარიცხვა, რადგანაც რაც აირჩეს კრებაზე არ გამოცხადებულა.

უმწეო მდგომარეობაში მყოფ პარტიულ ამხანაგების შესახებ გადაწყდა, რომ იმ ამხანაგებს, რომლებიც მატერიალურ სივიწროვეს განიცდიან, ერთდროული დახმარება ალმოეჩინოს. ამის შემდეგ აირჩა ორი ამხანაგი: ერაძე და ფაღლიაშვილი, რომლებიც პრეზიდიუმს მიემატენ; ასე რომ, პრეზიდიუმის რიცხვი 9 კაცით განისაზღვრა.

ბალვა გომართელი.

მუშათა შორის

თფილისი. 2 მარტს მოხდა საერთო კრება მუშების მე 4 ქალაქის პურის საცხობში. გასარჩევი იყო შემდეგი კითხვები: 1) მუშების მიღებ-დათხოვნა, 2) ბ-ნის შესახებ, 3) ჯამაგირების შესახებ, 4) მცირე წლოვნები.

პირველი მეტლის შესახებ კრებამ დაადგინა შემდეგი: მუშების მიღება უნდა სწარმოებდეს მუშების თანხმობით. ამისათვის უნდა შესდგეს სია, სადაც ჩაეწერებიან მუშები განცხადებისამებრ. ამასთანავე დაადგინა კრებამ ახალ მიღებულ მუშას მიეცეს გამოსაცდათ ვადა ექვსი დღე, რომ შემდეგ ჩარიცხულ იქნას შტატში. მეორე კითხვის შესახებ დაადგინა: რადგან მთელ ქალაქში გავრცელებულია გადამდები სენი და მუშებში უსაფუთოობის გამო სენმა ჩინა თავი და მუშები ხდებიან ავათ თითქმის ყოველ დღე, ამისათვის ეთხოვოს სადაც ჯერ არს, რომ სადგომი ოთახი მისცეს, რომელიც ეუჩენენთ ჩვენ რამოდენიმე დღის წინათ პურის საცხობების გამგეს ბ. ალ. ვიეკაზოვს. ჯამაგირების შესახებ დაადგინა: რადგან მძიმე შეიქნა და ძუტანელი სიძვირის გამო ცხოვრება, ეთხოვოს სადაც ჯერ არს, რომ ჯამაგირების დარიგება სწარმოებდეს თვის 20—25. ამასთანავე ეთხოვოს, რომ ნათხოვარი მომატება დაჩარებით ყოს გატარებული ცხოვრებაში, რადგან უკიდურეს გაჭირვებას განიცდიან მუშები პურის საცხობში. მეოთხე საკითხის შესახებ კრებამ დაადგინა: რადგან პურის საცხობში ეძიმე სამუშაოა, არ იყოს ამის შემდეგ მიღებული მცირე წლოვნები, როგორც ეს დღემდე სწარმოებდა.

კრების მონდომებლობით **ხ. კაშია.**

პროვინცია

ბიათურა 26 თებერვალს შესდგა ბიათურის განახლებული საბჭოს სხდომა. კრებას ხსნის ქალაქის თავი პლატონ მოდებაძე. საბჭოს პრეზიდიუმში ერთხმათ არჩეულ იქნა სოც.-დემ. ფრაქციის მიერ წამოყენებული კანდიდატები: თავმჯდომარეთ ამხ. სიმონ ჯაფარიძე, მის პირველ ამხანაგად ამხ. გ. ანთელიძე, მეორე ამხანაგათ ნაციონალ დემოკრატი ალექსანდრე გამრეკელი, მდივნათ ამხ. ვ. წერეთელი.

ამის შემდეგ ხმოსნები ხელს აწერენ ფიცის ქალალდს და კრება გადადის პირდაპირ საქმეზე: 1) კითხვა ეხება ქალაქის გამგეობის შედგენას; 2) კითხვა ჯამაგირების; 3) სხვადასხვა კომისიების არჩევნების.

სოც. დემოკრატიული ფრაქცია გამგეობაში აყენებს შემდეგ პირებს: ქალაქის თავათ ამხ. პლ. მოდებაძეს, მის მოადგილეთ ევ. თოდუას და გამგეობის წევრათ ისიდ. ხარატაშვილს. სხვა ფრაქციებს გამგეობაში კანდიდატები არ წამოუყენებიათ. ქალაქის თავმა პლ. მოდებაძემ მიიღო 13 თეთრი, არც ერთი შავი. გამგეობის წევრმა ევ. თოდუამ 12 თეთრი, არც ერთი შავი და მეორე გამგეობის წევრმა, ისიდ. ხარატაშვილმა 13 თეთრი, არც ერთი შავი.

კრებას ოც ხმოსანში დაესწრო 17 კაცი. ესერებმა და ფედერალისტებმა თავი შეიკავეს არჩევნების დროს.

ჯამაგირების შესახებ კრებამ მიიღო შემდეგი: ქალაქის თავს 1500 მ. თვეში ბინით, მას მოადგილეს 1200 მ. უბინოთ და გამგეობის მეორე წევრს 1000 მან. უბინოთ. კრება ირჩევს საფინანსო და საბიუჯეტო კომისიებს სხვა კომისიების არჩევნები გადაიდო შემდეგისთვის.

ხ. ხიხარულიძე.

ხ. ხოლრში. (ხუგდიდის მაზრა). 10 თებერვალს მოწვეულ იქნა საზოგადო კრება სოციალდემოკრატიული ორგანიზაციის ინიციატივით. კრებაზე გამოცხადდა 300-მდე კაცი. არჩევნების და მიწის კანონის შესახებ მოხსენება გააკეთა თფილისიდან გამოგზავნილმა ამხანაგმა, რომელმაც დაწვრილებით აუხსნა ხალხს მიწის კანონის მნიშვნელობა სოფლის მეურნეობისათვის და გააკრიტიკა ესერების და სოც. ფედ. მიწის სოციალიზაცია. ხალხმა დაიყვირა: „მოტყუებულნი ვყოფილვართო“. ჩამოსულ ამხანაგს სთხოვეს ეთქვა, თუ რომელ ნომრისთვის მიეცათ ხმა. 1 ნომერი რომ გაიგონა ხალხმა თითქმის ერთხმათ დაიყვირა: „გაუმარჯოს პირველ ნომერსო“. საღამოს 6 საათი იქნებოდა და კრება ის იყო უნდა დაშლილიყო, რომ ამ დროს მოვიდა შოთა დადიანი (სოც.-ფედ.) თავის ამალით (ბეს. ჯორჯიკა და სხ.) დადიანმა თავისი აგიტაცია დემაგოგიით დაიწყო და დემაგოგიითვე გათავა. მან მთელი დრო სოციალდემოკრატების ტაქტიკის და პროგრამის „კრიტიკას“ მოანდომა (თუ შეიძლება იმას კრიტიკა ეწოდოს!) დემაგოგია პირველი: ორატორი ეკითხება გლეხებს: ჩამოართვეს თუ არა აქ მემამულეებს მიწები?—არა, იყო პასუხი. მთავრობას და მის ორგანოებს შეეძლოთ დღემდე ჩამოერთვათ მიწები მემამულეებისათვის, მაგრამ ეს არ ქნეს, აქედან თქვენ ხედავთ თუ როგორ ზრუნავენ თქვენთვის სოციალდემოკრატები. როცა ორატორს ჩვენმა პროპაგანდისტმა ადგილიდან შენიშნა, რომ ზუგდიდს მაზრაში ანარქიის გამეფების გამო დაგვიანდა მიწების ჩამორთმევაო, დადიანმა ხალხს გადასძახა—განა ბალშევიზმი მენშევიკების პოლიტიკამ არ დაბადა?

დემაგოგია მეორე: აგრარულ კანონში 500—1000 მანეთამდე დესეტინის ფასი იმიტომ გამოტოვეს სოც. დემოკრატებმა, რომ პატარა იყოთ და ამ აგრარული კანონით 3,000 მანეთიც გაუწევს გლეხს დესეტინა მიწაშია.

დემაგოგია მესამე: სოც. დემ. ბარსეგიან სამაზრო საადგილ-მამულო კომისიას, საბაიონო კომისიას, იქარავეთენ მიწის მზომელებს და სხ. და ყველა ამ ფულებს თქვენგან, გლეხებისაგან იღებენო. ჩვენ კი არც კომისიების და არც მიწისმზომელების ფულს თქვენ არ გადაგახდევინებთო. აი, ასეთი ლამაზებით და მარგალიტებით უმასპინძლდებოდა გლეხებს ის სხვადასხვა სოფლებში. მაგრამ მიუხედავათ ამისა, სოც.-ფედერალისტები მაინც არ მიიკარა ხალხმა და არჩევნებში ისევ სოც.-დემოკრატებს გამოუცხადა ნდობა.

ანანანი.

ᲩᲕᲔᲜᲘ ᲯᲐᲠᲘᲡᲗᲕᲘᲡ

საზღვედრო მინისტრს ქ. რეშტიდან მიუვიდა შემოწირულობა სომხებთან ომის დროს დაღუპულ გმირთა ობლებისათვის: ათას ათასი მანეთი: ფეოლარია ვარლამ ალექსის ძე, ბასილაია ტრიფონ ტუტაშხიას ძე, ხოშტარია იოსები. ხუთას-ხუთასი მანეთი: ლორთქიფანიძე კონსტანტინე, ნოდია ივანე. ოთხას ათი მანეთი: კობიეი შურა, მისი ბიბუას დენერალ ალექსანდრე კობიევის სახსოვრათ. სამასი მანეთი: გამყრელიძე პარმენ დავითის ძე. ორას-ორასი მანეთი: მენაბდე ვარლამ, ჩიტაშვილი ხარლამპი, ორორჩილავა სიმონი. ას-ასი მანეთი: გაგუა პორფირე, დანელია მოსე კუბის ძე, თურქია ივანე დავითის ძე, მგალობლიშვილი ნიკო კონსტანტინეს ძე, მკურნალი ალექსანდრა გიორგის ასული, მკურნალი რომან კონსტანტინეს ძე, რუბლიოვი მიხეილ ისაის ძე და ერკომიშვილი დიმიტრი, სულ 6110 მანეთი.

საზღვედრო სამინისტრო უღრმეს მადლობას სწირავს შემომწირველთ.

ᲬᲔᲠᲘᲚᲘ ᲠᲔᲓ. ᲛᲘᲛᲐᲠᲗ

ბ-ნ ხონელის საპასუხოთ.

გაზ. „შრომის“ № 43 მოთავსებულია ბ-ნი ხონელის კორესპონდენცია.

კორესპონდენციის ავტორი იწუნებს მიწადმოქმედების მინისტრის ამხ. ნ. ხომერიკის სიტყვას, რომელიც მან წარმოსთქვა ხონში მოწვეულ მიტინგზე 1 თებერვალს, და არც მე მტოვებს უყურადღებოთ. ბ-ნი ხონელი საქმის ნამდვილ ვითარებას ფარავს და მამტყუნებს იმაში, რომ მე მას სიტყვა წავართვი, ხოლო ნაციონალ-დემოკრატს კი დავაცალე და სხვა მენშევიკებთან ერთად მოვისმინე მისი სიტყვა. ნაციონალ-დემოკრატს ჩვენ მოუსმინეთ, რადგან იგი პრინციპიალურ საკითხზე ლაპარაკობდა, ეგ მართალია; ხოლო სიტყვა წავართვი ბ-ნ ა. კაკაბაძეს, რადგან მან სოციალდემოკრატების პროგრამისა და მოღვაწეობის გაკრიტიკების მაგივრათ, ლანძღვა გინებას და პროვოკაციას მიყო ხელი. რაც შეეხება იმას, რომ თითქო ხალხის დიდმა უმრავლესობამ მოითხოვა მიმეცა კაკაბაძისაგან სიტყვის გაგრძელების უფლება, ეგ მტკნარი სიცრუეა. თითო-ოროლა თავაღებული პირი მოითხოვდა ამას და თან არავითარ უშესობებს არ ერიდებოდა. მეც, რომ დრო არ დამეკარგა, რომ არ მიმეცა თავაღებულებისათვის საშუალება განეგრძოთ უშესობა, ხელ ახლავ მივეცი სიტყვა კაკაბაძეს, მაგრამ სწორეთ ხალხის დიდმა უმრავლესობამ ვერ მოითმინა მისი პროვოკატორული გამოსვლა და რეპლიკებით აიძულა ბ-ნი კაკაბაძე სიტყვა შეეკვეცა.

ბ-ნი ხონელი უსირცხვილოთ სტყუის, როდესაც ლაპარაკობს, რომ თითქო ხალხის დიდმა უმრავლესობამ მე სიტყვა არ მათქმევინა და „ძირს“ ძახილით შემაჩერა. ეს ჩაიდინა არა ხალხის დიდმა უმრავლესობამ, არამედ კაკაბაძის ორიოდე კლაკიორმა, რომლებისთვის არ არსებობს არც ზრდილობა და არც წესიერება. ბ-ნი ხონელი კი თხზავს რა ჭორს, დასკვნის, რომ თითქო „ძირს“ დაძახებით ხალხმა დაიფასა ჩემი, როგორც ქალაქის თავის, მოლაწეობა (ამ სიტყვას ბ-ნი ხონელი ფრჩხილებში სვამს), რაც თავრე ხონელი ბურჟუაზიის დაცვაში გამოხატულა. ბ-ნ ხონელს რომ რიგიანობა სწამდეს, ასეთ ჭორს არ მიქართავდა. ბ-მა ხონელმა იცის, რომ ბრწყინვალე გამარჯვება ნახა ქალაქის არჩევნებში იმ სიამ, რომელშიაც პირველ კანდიდატათ ვიყავი მე; იცის ისიც, რომ განაცხადებულმა საბჭომ 11 თებერვალს ხელ მეორეთ ამირჩია ქალაქის თავათ და ამ არჩევნებში არც ერთი შავი არ მიმიღია. ხონის დემოკრატიამ ბ-ნი ხონელის პარტიაც კარგად დაფასა, როდესაც მის სიას მხოლო 15 ხმა არგუნა თითქმის 3,000 ხმიდან.

ხონის ქალაქის თავი **ი. ჭავჭანიძე.**

P. S. გაზ. „სახ. ფურ.“ ამცნობს თავის მკითხველებს, რომ ხალხმა თითქო ამხ. ხომერიკსაც კი დაუძახა „ძირს“.

ყველა ჩვენი მოწინააღმდეგენი ჭორებით გვებრძვიან და მათ შორის „სახ. ფურცელსაც“ არ უკავია უკანასკნელი ადგილი.

ი. ჭ.

ᲪᲜᲝᲑᲔᲑᲘ

დათიკო მიხეილის ძე ობლიშვილი მსახურობდა ქალაქ კალიშში 3 ქვეითა მსროლელ პოლკში, მე 7 როტაში. სამი წელიწადია არაფერი ვიცით. გთხოვთ თუ ვინმემ იცით რამე გამაგებინოთ. მისამართი: ანდრეევის ქუჩა, რკინის გზის საავთმყოფოში ნინა მიხას ასული ობოლიშვილი.

ᲒᲐᲜᲪᲮᲐᲓᲔᲑᲐᲜᲘ

ექიმის თინაშვილის მიხაილოვის საავადმყოფოსი **ნოე ნიკოლოზის ძე ტულუში** ავად გახდა შემოუნებითი ტიფით 26 თებერვალს, და წევს იმავ საავადმყოფოში მე 5 განყოფილებაში. მდგომარეობა უცვლელია. (1—1)

სომხებთან ბრძოლაში მოკლული გრიგოლ მიხეილის ძე რუხაძეს ქონდა მიბარებული და **ᲓᲐᲙᲐᲠᲒᲐ** შემდეგი საბუთები: 1) პენსიის მისაღები წიგნაკი გრიგოლ მიხეილის ძე რუხაძის სახელზე და 2) აპეკუნობის საბუთი იმავე პირის სახელზე. დღიდან ამ განცხადების გამოქვეყნებისა ზემოხსენებული დოკუმენტები ითვლება გაუქმებულად. (1—1)

ქ. თფილისში, ამ რამდენიმე დღის უკან

ᲓᲐᲕᲙᲐᲠᲒᲔ

სახელმწიფო უნივერსიტეტიდან მოცემული მატრიკული წიგნი № 217 ამოწერილი ვალოდია ჩოჩუს სახელზე. ვთხოვ მნახველს გამომიგზავნოს შემდეგი ალრესით: თფილისი, „ერთობის“ რედაქცია, ვალოდია ჩოჩიასათვის. (2—1)

დიდ მადლობას უძღვნი ყველა იმ პირებს, რომლებმაც ჩემი ავადმყოფობის დროს (შავი სახადით) ქ. ოზურგეთში, დამხმარე კომიტეტის საექიმო პუნქტზე მოვალეობის ასრულების დროს გამიწიეს საექიმო დახმარება და მით ხელი შეუწყვეს ჩემ განკურნვას. ექიმებს: ა. ბ. ინგოროყვას და ვლ. ყ. ცეცხლაძეს. ბ-ნია ქალს ელ. კისელითვას. ამხანაგებს: ნ. ტუდუშს და ზ. კალანდარიშვილს, მოწყალების დას ნ. ჩხარტიშვილასას. აგრეთვე მადლობას ვწირავ ყველა იმ პირთ, რომლებმაც არ დაშალეს მოვალე პატრონობა პატ. ექ. თან. **ხერგო ნინიძე.**

ᲔᲥᲘᲛᲘ

Კ. Თ. ᲢᲣᲠᲨᲘᲚᲐᲕᲘᲚᲘᲡ

ᲮᲐᲛᲬᲘᲠᲜᲐᲚᲘ ᲙᲐᲑᲘᲜᲔᲗᲘ

მიხეილის (№ 55) და ბელგიის (№ 1) ქუჩების კუთხე, ფოსტის მახლობლათ შესასვლელი ბელგიის ქუჩიდან—აფთიაქის პირდაპირ ვენერიული, კანი, სიფილ. (606 და 914 შეშხაპუნება) შაშარდე და სასქესე ორგანოთა ხნეულებანი. საღამოს 5—7 საათ. (25—3)

ᲛᲔᲓᲘᲪᲘᲜᲘᲡ ᲓᲝᲥᲢᲝᲠᲘ

ᲜᲘᲙᲝᲚᲝᲖ ᲘᲕᲐᲜᲘᲡ ᲫᲔ

ᲛᲐᲮᲕᲘᲚᲐᲫᲔ

ოდგებს სპეციალურად—მალარიით (ციება), და მისი შედეგებით დასნეულებულთ, ხიხნლის ნაკლებობით, გულისა, ფილტვისა, ქარებით და სხვა შინაგან ხნეულებით ავადმყოფთ ყოველ დღე საღამოთი 4—8 საათამდე. ელექტრიზაცია. მისამართი: მოსკოვის ქ. № 11, ზვიელის აფთიაქის ახლოს.

ᲮᲐᲜᲘᲡᲜᲐ ᲗᲕᲐᲚᲘᲡ ᲮᲐᲐᲒᲐᲓᲛᲧᲝᲤᲝ

(მუდმივი საწოლებით)

ᲔᲥᲘᲛᲘ ᲓᲝᲥᲢᲝᲠᲘᲡᲐ

ყოფილი ასისტენტი უნივერსიტ. თვალ. კლინიკისა ვენაში და პარიზში. ავათმყოფების მიღება ყოველ დღე 9 საათიდან 1 საათამდე და 4—7 ნაშუალამ საათამდე. მიხეილის პროსპექტი № 141 (კინემატოგრაფ „ბოლოს“ ახლოს) მძიმე ავათმყოფები და ოპერაციები მიიღებიან სრულ ჰანსიოზში. ტელეფ. 5—96.

ᲔᲥᲘᲛᲘ Მ. Ა. ᲨᲐᲨᲘᲐᲜᲘ.

სპეციალურად სიფილისი და მისი შედეგები (შეშხაპუნება 606 და 914), ვენერიული (ტრიპერი) და სასშარდე ორგანოების ხნეულებანი. ავათმყოფების მიღება ყოველ დღე დილის 8—11 და საღამოს 5—8 საათამდე. ქალების საღამოს 4—6 საათამდე. კვირაობით მხოლოდ დილით. მისამ: ოლდას ქ. № 33.

ᲙᲐᲠᲘᲚᲘᲡ ᲡᲐᲣᲙᲔᲗᲝ ᲙᲐᲑᲘᲜᲔᲗᲘᲡᲐ

ᲗᲤᲘᲚᲘᲡᲘᲡ ᲡᲐᲐᲕᲐᲠᲔᲚᲘᲡ ᲥᲐ ᲪᲮᲝᲛᲕᲔᲚᲘᲫᲔᲡᲐ

ავადმყოფები მიიღება ყოველდღე დილის 9—2 საათამდე და საღამოს 5—8 საათამდე, გარდა კვირა დღეებისა. მისამართი: კალოუბნის ქუჩა (ყოფილი ბარონის), სახელმწიფო ბანკის პირდაპირ, ტელეფონი 18—36.

ᲛᲔᲓᲘᲪᲘᲜᲘᲡ ᲓᲝᲥᲢᲝᲠᲘ

ᲑᲔᲠᲚᲘᲜᲘᲡ ᲣᲜᲘᲕᲔᲠᲡᲘᲢᲔᲢᲘᲡ

Გ. Გ ᲛᲔᲒᲠᲐᲯᲒᲘᲐᲜᲪᲘ

შინაგანი ავადმყოფობა, ტლექისა და გულისა. იღებს ახალ რენტგენის—ელექტრო წამლობის კაბინეტში; განინჯავ და წამლობა X ს სხივებით. დიდი სალენინი და არსევალის ტოკით ფილტვების, გულის და სხვა შინაგანი ავადმყოფობანი სათვის. ლარიბებს უფასოთ. ყოველ დღე დილის 9—1 საათამდე და საღამოს 5—8 საათ. ბებუთოვის ქ. № 23, ტელეფ. 7—92.

ᲛᲔᲓᲘᲪᲘᲜᲘᲡ ᲥᲐᲚᲘ

Რ. Გ. ᲖᲘᲣᲚᲝ-ᲡᲐᲒᲐᲨᲕᲘᲚᲘ

მედიცინის დოქტორი ლენინგრ. სიტეტისა და ლონდონ-ბერლინის მედიკურ ქირურგიულ კოლეჯისა. იღებს ყოველ დღე **შინაგან, ქალურ** და **ვენერიულ ავადმყოფთ** და იძლევა საბუთიან დასკვნებს. სიფილისის წამლობა ახალი მეთოდებით. დილის 10—12 ს. და საღამოს 6—7 საათ. მიხეილის პრ., № 119, ტელეფონი № 9—26.

Ა. ნ. ᲨᲐᲢᲘᲚᲝᲕᲘ

იღებს თვალის ხნეულებიან ავათმყოფებს საღამოს 4—6 საათ. სემიონოვის ქუჩა, სახ. № 4 (ეფორნოვის ნიდის ახლოს).

ᲔᲥᲘᲛᲘ

Ვ. Ნ. ᲩᲣᲞᲠᲘᲜᲘᲜᲘ

იღებს ბავშვთა და შინაგან ხნეულებიან ავათმყოფთ ყოველ დღე 1—3 საათამდე. მისამართი: ნაძალადევი. ბასსეინის ქუჩა № 30.

ᲛᲔᲓᲘᲪᲘᲜᲐ

ᲙᲣᲙᲔᲚᲘᲐ

იღებს ვენერიულ ხნეულებიან ავათმყოფთ (914, 606 შეშხაპუნება) მიღება დილის 10—11 ს. საღამოს 4—6 საათ. მისამართი: მიხეილის პრ. № 116 სასტუმრო „ნოეს“ პირდაპირ. ტელ. 14—28.

ᲛᲔᲓᲘᲪᲘᲜᲐ

Ნ. Ბ. ᲒᲔᲒᲔᲭᲙᲝᲠᲘ

სპეციალურად—ბავშვთა და შინაგანი ავადმყოფობანი: ავადმყოფობანი გულისა და ფილტვებისა, ყორღანოვის ქუჩა № 10. მიღება საღამ. 6—7 საათ. ტელ. 17—68.

ᲛᲔᲓᲘᲪᲘᲜᲐ

Დ. Ვ. ᲯᲐᲕᲐᲮᲘᲨᲕᲘᲚᲘ

იღებს ბავშვთა და შინაგან ხნეულებიან ავადმყოფთ ყოველ დღე საღ. 4—6 საათამდე. ბინა ყველა, გუნიბის ქ., № 41, ტელ. № 14—60.

ᲔᲥ. Დ. Ი. ᲯᲐᲤᲐᲠᲘᲫᲔ

ლებულობს: შინაგან, ყურის, ყელის და ცხვირის ხნეულებით ავათმყოფებს დილის 12—1 ნახ. საათ., საღამოს 5—6 საათ. მისამართი: მეადოთოვის ქ. № 7 ალექსანდრეს ბაღის პირდაპირ ტელეფონი 16—35.

ᲛᲔᲓᲘᲪᲘᲜᲐ

ᲕᲐᲠᲜᲘ

იღებს სპეციალურად ბავშვთა და შინაგან ხნეულებიან ავათმყოფთ ყოველ დღე საღამოს 3—6 საათ. მისამართი: ხუდენინის, 33 ეზოში.

ᲛᲔᲓᲘᲪᲘᲜᲐ

ᲐᲜᲐᲡᲢᲐᲡᲘᲐ ᲚᲔᲕᲝᲕᲘᲩᲘᲝᲠᲚᲝᲒᲡᲘᲐ

მიიღებს შინაგან ხნეულებიან და ბავშვების ავადმყოფებს. სპეციალურად მალარიის (ციების), წამლობა. ყოველ დღე დილის 12—2 ს. და საღამოს 6—7. ქუსინიევის ქ. № 9, ტელ. 12—88. (25—17)

ᲔᲥᲘᲛᲘ

Ი. Გ. ᲙᲝᲜᲘᲔᲕᲘ

იღებს შინაგან ხნეულებიან ავათმყოფთ საღამოს 5—7 საათ. ყერა ვარდის უბნის ქ. № 3.

ᲡᲐᲮᲔᲚᲛᲬᲘᲤᲝ ᲗᲔᲐᲢᲠᲘ

ოთხშაბათს, 5 მარტს შუალინის, სარაჯიშვილის, ინაშვილის მონაწილეობით ქართულ ენაზე

ᲓᲔᲛᲝᲜᲘ

ხუთშაბათს, 6 მარტს საბანეევის, ალექსკოს მონაწილეობით „გუგენოტები“. შაბათს 8 მარტს შუალინის, ალექსაძის, სპიტკოს, სარაჯიშვილის, ინაშვილის, პოლიაევის მონაწილეობით „თქმულება შოთა რუსთაველზე“.

Გ Ა Ნ Ც ხ Ა Დ Ე Ბ Ა

კახელ მევენახეთა კოოპერატიული საზოგადოება

პრემია 500 მანეთი — **„ᲙᲐᲮᲔᲗᲘ“** — პრემია 500 მანეთი

ამით აცხადებს, რომ რადგანაც ხსენებულ საზოგადოებას აზრათ აქვს შემოიღოს ქართული ეტიკეტები (ярлыки) ამისათვის სთხოვს ყველა მცოდნე პირთ ამ საქმისთვის წარმოადგინონ თავიანთი ნაწარმოები. საუკეთესოთ მიჩნეულისთვის დანიშნულია

ᲞᲠᲔᲛᲘᲐ 500 ᲛᲐᲜᲔᲗᲘ

პირადად მოლაპარაკება გამგეობასთან და დაწვრილებითი ცნობების მიღება ხაზოგ. „კახეთის“ მთავარ კანტორაში: გოგოლის ქუჩა № 63. 9—3 საათამდე, გარდა უქმეებისა

გამგეობა, (3—1)

„ᲣᲛᲣᲨᲐᲝᲗᲐ ᲓᲦᲔᲔᲑᲘ“

7, 8 და 9 მარტს, — პარასკევს 7 მარტს Galea—სპექტაკლი

ᲙᲝᲛᲝᲓᲘᲐ

ზალიპკის და სიბანეევის მონაწილეობით. 3 მოქმედებიანი ოპერა. მუსიკა ეფ. პოზიტას. მონაწილეობას ლებულობენ: ხვიტკო. იანსა, ვიშვეტრსკაია, ბოლიამეი, ფრონსკი, ისეკაი, დემიანენკო, კურბატოვი, ეზროვი და სხვები.

II „ᲥᲣᲠᲬᲘᲚᲘ ᲛᲐᲚᲝᲓᲠᲝᲣᲡᲘᲐᲨᲘ“

ბალეტი.

მონაწილეობას იღებენ: ბაურზაკი, ლეონოვა, ვოკარეცი, დემიანენკო და სხვები.

ბილეთები იყიდება ყოველ დღე კასაში. (2—1)

ᲒᲣᲠᲯᲘᲐᲜᲘᲡ ᲗᲕᲘᲗᲛᲐᲠᲗᲕᲔᲚᲘᲒᲜᲐ

იღებს საკურორტო და სამკურნალო საკითხებია მცოდნე პირს გამგეობის წევრათ. მსურველს პირობებს გაგება შეუძლია თვითმართველობის გამგეობაში. (3—1)

Გ Ა Ნ Ც ხ Ა Დ Ე Ბ Ა

საქართველოს სახაზინო, რკინის გზის სასურსათო კომიტეტი იწვევს მოიჯარეებს, რომელთაც შეუძლიათ მიაწოდონ კომიტეტს რაიმე პროდუქტი—საქონელი. მსურველებს შეუძლიათ მოიძიონ მოსალაპარაკებლად დილის 10—3 საათამდე, ელისაბედის და შუტაიდის ქუჩის კუთხე, № 200. (3—1)

მოიკითხეთ საუკეთესო ჯიშის აბრეშუმის ჯიის თესლი ფირმა **„Დ. Დ. ᲓᲔᲕᲐᲜᲘᲖᲘᲨᲕᲘᲚᲘ“**-სა

(თესლი გასინჯულია და მოწმობებული საბჭოს ექიმის ალგაზის მიერ).

მისამართი: დუშეთის ქუჩა № 21, ბინა მექანიკოშვილისა.

ცნობები მიიღება: ნაშუადღევის 3 საათიდან საღამოს 6 საათამდის. (4—2)

Გ Ა Ნ Ც ხ Ა Დ Ე Ბ Ა

რკინის გზათა სამმართველო საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკისა ამით აცხადებს, რომ 1919 წ. 10 მარტს დილის 10 საათზე ხსენებულ სამმართველოს ეზოში დანიშნულია

ᲐᲣᲪᲘᲝᲜᲘ

საჯარო ვაჭრობით გაყიდება ოთხი ბარგის გადასაზიდავი „ლინეიკა“, რომელთა შორის სამი ფულისა და ერთიც კორესპონდენციის საზიდავი. დაწვრილებით მოლაპარაკება პირადათ: თფილისი, რკინის გზის სამმართველოს სამასალო განყოფილება დილის 9 საათ. ნაშუადღევის 3 საათამდე, ყოველ დღე გარდა უქმეებისა. (3—2)